

შპს „სმმ“

ტელ: 898 905 492;
smm_2007@mail.ru
კოსტავას №68^ბ VII სართ



L.T.D. „SMM“

Tel; 898 905 492 ; mail:
smm_2007@mail.ru
kostava st/ 68^a floor

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა


საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის არსებული მდგომარეობის გეოლოგიური და კონსტრუქციული შესწავლა-გამოკვლევა, განზრახული დაშენებების შედეგად გამოწვეული გაზრდილი დატვირთვების გათვალისწინებით სივრცითი ჩონჩხედის (კარკასის) გადაანგარიშება და მისი მზიდუნარიანობის მიხედვით დაშენებების შესაძლებლობის განსაზღვრის შესახებ



თბილისი 2020 წ.

შპს „სმმ“

ტელ: 898 905 492;
smm_2007@mail.ru
კოსტავას №68^ბ VII სართ



L.T.D. „SMM“

Tel; 898 905 492 ; mail:
smm_2007@mail.ru
kostava st/ 68^ბ floor

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის არსებული მდგომარეობის გეოლოგიური და კონსტრუქციული შესწავლა-გამოკვლევა, განზრახული დაშენებების შედეგად გამოწვეული გაზრდილი დატვირთვების გათვალისწინებით სივრცითი ჩონჩხედის (კარკასის) გადაანგარიშება და მისი მზიდუნარიანობის მიხედვით დაშენებების შესაძლებლობის განსაზღვრის შესახებ

დამკვეთი: საქართველოს პარლამენტის აპარატის

უფროსი:

/ გივი მიქანაძე /

შემსრულებელი:

შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის“

დირექტორი, ტ.მ.დ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის

„სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ექსპერტიზის“

განყოფილების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპერტი, საგანგებო სიტუაციების

ინჟინერ-კონსტრუქტორი საექსპერტო საქმიანობაში მონაწილეობის

20 წლის სტაჟით , სპეციალისტი:

/ ბ. ჭურჭელაური /

თბილისი 2020 წ.

სარჩევი

ნაწილი I

თავი 1. კონსტრუქციული კვლევა	4
ტექნიკური დავალება	- 4
1.1 პარლამენტის სასახლესთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაცია	- 5
1.2 შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სქემა, კონსტრუქციული ელემენტები და კვლავასთან დაკავშირებული ნახაზების შედგენა (22 600 მ ² -ზე)	- 6
1.3 ადგილმდებარეობა და აღწერილობითი ნაწილი	- 8
1.4 პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის მზიდი კონსტრუქციის კონსტრუქციული სქემა	- 11
1.5 საკვლევი ობიექტის ვიზუალური კვლევა და შედეგების ანალიზი	- 18
1.6 ინსტრუმენტული კვლევა	- 23
დანართი №1 - კონსტრუქციული კვლევის ფოტომასალა	- 55
ობიექტზე გამოყენებული აპარატურა	- 74
გამოყენებული ლიტერატურა	- 74
თავი 2. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა-რეკომენდაციები	- 75

ნაწილი II

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ნაწილები	- 81
საინჟინრო -გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დავალება	- 82
ჩასატარებელი სამუშაოების პროგრამა	- 83
საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და საფონდო მასალები	- 84
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები	- 85
დასკვნა-რეკომენდაციები	96
დანართები	- 99

ნაწილი III

III.1 საკვლევი ნაგებობების საანგარიშო მოდელების (სქემების) შედგენა	- 112
III.1.1 დატვირთვების განაწილება	- 113
III.1.1.1 მუდმივი დატვირთვა	- 113
III.1.1.2 ხანგრძლივი დატვირთვა	- 113
III.1.1.3 დროებითი დატვირთვა	- 113
III.1.1.4 ქარის დატვირთვა	- 114
III.1.1.5 სეისმური დატვირთვა	- 118

III.1.1.6	სამოწმებელ გაანგარიშებაში გამოყენებული გრუნტის საგების კოეფიციენტი	- 119
III.2.1	შენობის საანგარიშო მოდელი დღეისათვის არსებული მდგომარეობით	- 121
III.2.2	დღეისათვის არსებული მდგომარეობით შედგენილი მოდელის გაანგარიშებით მიღებული შედეგების ანალიზი	- 123
III.2.3	შენობის საანგარიშო მოდელი დაშენების გათვალისწინებით	- 129
III.2.4	დაშენების გათვალისწინებით შედგენილი მოდელის გაანგარიშებით მიღებული შედეგების ანალიზი	- 131
III.2.5	გასაანგარიშებელი შენობის მოდელი საძირკვლების გაძლიერების გათვალისწინებით	- 145
III.2.6	დაშენებისა და საძირკვლების გაძლიერების გათვალისწინებით შედგენილი მოდელის გაანგარიშებით მიღებული შედეგების ანალიზი	- 146
	დასკვნა და რეკომენდაციები	- 152
	გამოყენებული ლიტერატურა	- 157

ნაწილი I. კონსტრუქციული კვლევა

შ.პ.ს. „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის“ დირექტორს ბადრი ჭურჭელაურსა და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს გივი მიქანაძეს შორის ქ. თბილისში 2020 წლის 11 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება №20-11/03/3 საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის არსებული მდგომარეობის გეოლოგიური და კონსტრუქციული შესწავლა-გამოკვლევა, განზრახული დაშენებების შედეგად გამოწვეული გაზრდილი დატვირთვების გათვალისწინებით სივრცითი კარკასის გადაანგარიშება და მისი მზიდუნარიანობის მიხედვით დაშენებების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე.

ტექნიკური დავალება

დამკვეთის მიერ სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე გადასაწყვეტად

დასმულია შემდეგი საკითხები:

1. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა;
2. შენობა-ნაგებობის (კონსტრუქციული სქემა, კონსტრუქციული ელემენტები) აზომვითი ნახაზის შედგენა (22 600 მ²);
3. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დეტალური გამოკვლევისათვის საჭირო ღონისძიებების შედგენა (სულ 120000 მ³);
4. მზიდ ელემენტებში კოროზიის ხარისხის განსაზღვრა (50 ელემენტზე შესაბამისი რეპერული წერტილების სიხშირით);
5. მზიდი ჩინჩხედის (კარკასის) ამგები ელემენტების ბეტონის კლასისა და არმატურების დიამეტრების განლაგების და დამცავი შრის განსაზღვრა (164 ელემენტი);
6. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
7. ხელით ბურღვა. თითოეული 10 გრძ.მ. (16 ერთეული);
8. შურფის გაყვანა (50 გრძ.მ.);
9. ფუძე-ყამირის ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების განსაზღვრა (216 ნიმუში);
10. კვლევის შედეგების მიხედვით ნაგებობის ჩონჩხედის (კარკასის) საანგარიშო სქემის შედგენა (მოდელირება) და მზიდუნარიანობის განსაზღვრა სქემის მიხედვით (3 საანგარიშო სქემა);

- ა). სასახლეზე დაშენება შესრულდება მე-3 და მე-7 სართულებზე;
- ბ). სასახლეზე დაშენება შესრულდება მე-3 სართულზე;
- გ). სასახლეზე დაშენება შესრულდება მე-7 სართულზე;
- 11. საკვლევი ნაგებობის მზიდი ელემენტების ზიდვის უნარის განსაზღვრა სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებებზე (7 ნაკვეთური);
- 12. საკვლევი ობიექტის კვლევების შედეგების ანალიზი და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება (1 ობიექტი).

1.1. პარლამენტის სასახლესთან დაკავშირებული

საპროექტო დოკუმენტაცია

- 1.1.1. ს.ი. „საქქალაქმშენსახპროექტი“-ის საქართველოს პარლამენტის სასახლისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები - თბილისი 1992 წელი;
- 1.1.2. საქართველოს პარლამენტის შენობაზე გეოლოგიური კვლევების დამატებითი სამუშაოების შედეგები - თბილისი 2006 წელი;
- 1.1.3. "საქალაქმშენსახპროექტი" კონდიციონერების დამიწებასთან დაკავშირებით მთავრობის სახლის შიგა ეზოში ჭაბურღილის ბურღვა - თბილისი 1977 წელი;
- 1.1.4. ს.ი. „საქქალაქმშენსახპროექტი“-ის სუკის ადმინისტრაციული შენობის დეფორმაციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები - თბილისი 1990 წელი;
- 1.1.5. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევა, კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით დამუშავებული აღდგენა-გამლიერების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და სათანადო აღდგენა-გამლიერების სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების შემუშავების 71320000-საინჟინრო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულების დანართების შესაბამისად. მომზადებულია შ.პ.ს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ“. დირექტორი: ბ.ჭურჭელაური. ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე. ინჟინერ-გეოლოგი მ. ბერიძიშვილი. თბილისი 06.08.2013

1.1.6. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის არსებული მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობის კვლევა-შესწავლა და საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების ჩატარება. მომზადებულია შ.პ.ს „ლაინკუბის“ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ. დირექტორი: ლაშა აბრამიძე.

ინჟინერ-კონსტრუქტორები: ა. ნატროშვილი, ბ სურგულაძე, ინჟინერ-გეოლოგი, გ. რუსტამოვი. თბილისი. 20.04.2018წ.

1.2. შენობა-ნაგებობის (კონსტრუქციული სქემა, კონსტრუქციული ელემენტები)

აზომვითი ნახაზების შედგენა (22 600 მ²)

წინა წლებში სს „საქქალაქმშენპროექტის“ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ (მთ. არქიტექტორი ვ. ცუხიშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი ნ.გვასალია, შემსრულებლები : თ. მოსიაშვილი, ქ. მანაგაძე, მ. დავითიძე, ნ, შონია, გ. ავალიშვილი, შემმოწმებელი ნ. გვასალია) განხორციელდა პარლამენტის სასახლისათვის აზომვითი ნახაზების ფასადებისა და ჭრილების აგება. კონკრეტულად წარმოდგენილი იყო:

1. ფასადი „ა“ და „კ“ ღერძებს შორის;
2. ფასადი „1“ და „20“ ღერძებს შორის (ცენტრალური ნაწილი ზუბალაშვილების ქუჩის გასწვრივ)
3. ფასადი „კ“ და „ა“ ღერძებს შორის;
4. ფასადი „20“ და „1“ ღერძებს შორის (ცენტრალური ნაწილი რუსთაველის გამზირის გასწვრივ)
5. ჭრილი „1“ და „10“ ღერძებს შორის;
6. გრძივი ჭრილი;
7. მთავარი ფასადი;
8. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, სარდაფის სართულის გეგმა;
9. ფასადი „1“ და „20“ ღერძებს შორის;
10. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, სართულის გეგმა ეზოს დონეზე;
11. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, ცოკოლის სართულის გეგმა;
12. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, I სართულის გეგმა;
13. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, II სართულის გეგმა;
14. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, III სართულის გეგმა;
15. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, IV სართულის გეგმა;

16. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, V სართულის გეგმა;
17. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, VI სართულის გეგმა;
18. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, VII სართულის გეგმა;
19. C- კორპუსი. მარცხენა ფლიგელი, VII სართულის გეგმა;
20. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, სარდაფის სართულის გეგმა;
21. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, სართულის გეგმა ეზოს დონეზე;
22. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, ცოკოლის სართულის გეგმა;
23. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, I სართულის გეგმა;
24. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, II სართულის გეგმა;
25. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, III სართულის გეგმა;
26. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, IV სართულის გეგმა;
27. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, V სართულის გეგმა;
28. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, VI სართულის გეგმა;
29. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, VII სართულის გეგმა;
30. C- კორპუსი. მარჯვენა ფლიგელი, VII სართულის გეგმა;
31. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, სარდაფის სართულის გეგმა;
32. C- კორპუსი. ცენტრალური ცოკოლის სართულის გეგმა;
33. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, I სართულის გეგმა;
34. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, II სართულის გეგმა;
35. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, III სართულის გეგმა;
36. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, IV სართულის გეგმა;
37. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, V სართულის გეგმა;
38. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, VI სართულის გეგმა;
39. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, VII სართულის გეგმა;
40. C- კორპუსი. ცენტრალური ფლიგელი, VII სართულის გეგმა;

შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის“ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ზემოთმოყვანილი ნახაზების შედარება არსებულ სიტუაციასთან. დადგინდა, რომ აღნიშნული ნახაზების პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია არსებული შენობის გაზარიტებთან (სულ 22 600 მ²).

„C“ კორპუსის მზიდი კონსტრუქციების ჩონჩხედის (კარკასის) პროგრამული სამოწმებელი გაანგარიშებისათვის (გადაანგარეშებისათვის) ზემოთაღნიშნული

ნახაზებისა და დაშენების ესკიზური პროექტის მიხედვით შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის“ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საანგარიშო სივრცითი მოდელის აგება (22 600 მ² - თან შესაბამისობაში).

1.3. ადგილმდებარეობა და აღწერილობითი ნაწილი

დამკვეთის მიერ საკვლევად (ტექნიკური დავალების შესაბამისად) წარმოდგენილი ობიექტი (ქ. თბილისის პარლამენტის სასახლე) განლაგებულია ქალაქის ცენტრში, ფასადით რუსთაველის პროსპექტზე №8-ში არსებულ მისამართზე და შემოსაზღვრულია: 9 აპრილის, ძმები ზუბალაშვილების და ჭიჭინაძის ქუჩებით.

საკვლევი „C“ კორპუსი განთავსებულია ძმები ზუბალაშვილების ქუჩის გასწვრივ და წარმოადგენს 7 სართულიან სარდაფიან შენობას (იხ. დანართი სურათები: №1, №2), ხოლო მისი მომიჯნავე მარცხენა (იხ. დანართი სურათ: №4) და მარჯვენა (იხ. დანართი სურათი: №5) ფლიგელები განთავსებულია 9 აპრილის და ჭიჭინაძის ქუჩების გასწვრივ.

დანიშნულების თვალსაზრისით, საქართველოს პარლამენტის სასახლე, რომელიც რუსთაველის გამზირზე ქაშვეთის ეკლესიის მოპირდაპირედ, პირველ საჯარო სკოლასა და ახალგაზრდობის სასახლეს შორის მდებარეობს (მასში ადრე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ფუნქციონირებდა) ვრცელდება რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის კალთისკენ შეფენილ ვრცელ ტერიტორიაზე და შედგება ზედა მხარეს 1938 წელს აშენებული კორპუსისა (არქიტექტორები: ვ.კოკორინი, გ. ლეჟავა) და 1953 წელს რუსთაველის გამზირზე გამავალი კორპუსისაგან (არქიტექტორები: ვ.კოკორინი, გ.ლეჟავა, ვ.ნასარიძე).

საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობებისა და ზოგადი დახასიათების თვალსაზრისით:

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით უბანი მიეკუთვნება III-გ რაიონს;

- ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 68%;
- ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია 29 მ/წმ-ში, ქარის ძირითადი მიმართულება ჩ/დ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5წ. ერთხელ-0.30 კპა, 20 წ. ერთხელ – 0.48 კპა;

- თოვლის საფარის დღეთა რაოდენობა - 21, თოვლის საფარის წონა – 0,5 კპა;
- გრუნტის ჩაყინვის სიღრმე – 23 სმ;
- მოედნის სეისმურობა - 8 ბალი.

შენობაზე 1977, 1990, 1992, 2006, 2013, 2018 -წლებში ჩატარებულია საკვლევო საპროექტო გაძლიერებითი სამშენებლო სამუშაოები.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 1991-1992 წლებში განვითარებული ცნობილი მოვლენების დროს, პარლამენტის სასახლეში ადგილი ქონდა ხანძრის გაჩენას, რომლის ზემოქმედების ვადა არ დგინდება.

ზემოთ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში, მდებარე პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევა განხორციელდა 2013 წელს. ჩატარებული კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციების მონაცემების მიხედვით დამუშავებულია აღდგენა-გაძლიერების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შედგენა.

აღნიშნული საპროექტო სამუშაოების მონაცემების საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი აღდგენა-გაძლიერების სამშენებლო ღონისძიებები.

2013 წელს ჩატარებული გეოლოგიური, ვიზუალური და ინსტრუმენტალური კვლევების მიხედვით, ასევე ადრეულ ეტაპზე ს.ს. „საქქალაქმშენსახპროექტის“ სპეციალისტების კვლევებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ნაგებობის მდგომარეობა სტაბილური იყო, იგი არ განიცდიდა ჯდომით დეფორმაციებს და იმ ეტაპზე საძირკვლების გაძლიერება არარეკომენდირებული იყო, ვინაიდან დამატებით ხელოვნურ ჩარევას შესაძლებელია არაპროგნოზირებადი შედეგები გამოეწვია; ნაგებობაზე სტატიკური ზემოქმედების შედეგად, მისი მზიდი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

სეისმური ზემოქმედების შედეგად, სვეტებზე არსებული მოკლე კონსოლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო შეიძლებოდა ნაგებობას განეცადა არასასურველი დეფორმაციები. ამიტომ საჭირო იყო აღნიშნული მოკლე კონსოლების გაძლიერება;

დაზიანებული იყო ტემპერატურული ნაკერის მიმდებარე სვეტები. აუცილებელი იყო მათი გაძლიერება;

წესრიგში უნდა ყოფილიყო მოყვანილი წყლის კომუნიკაციები, რათა გამოირიცხულიყო მათგან საძირკვლებში წყლის ჩადინება;

გამღერების სამუშაოების ჩატარების შემდეგ საჭირო გახდა განხორციელებულიყო დაკვირვებები ნაგებობისა და ტემპერატურული ნაკერის მდგომარეობაზე. მიზანშეწონილი გახდა დამუშავებულიყო პროექტი ნაგებობაში დეფორმაციებისა და ჯდომების მუდმივად (კომპიუტერული) კონტროლისათვის.

2013 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ პარლამენტის „C“ ბლოკში არსებული დაზიანებები გამოწვეული იყო:

1. ჭიჭინაძის ქუჩაზე გამავალი კოლექტორიდან გამონაჟონი წყლის ზემოქმედებისაგან;
2. 1991-1992 წლებში მომხდარი საომარი ოპერაციებისაგან.

2018 წელს კვლევაში ხსენებული ჯდომების გაგრძელების შეჩერების მიზნით და კარკასის იმდროინდელი მდგომარეობის ფიქსირებისათვის საჭირო იყო ლიკვიდირებული ყოფილიყო არათანაბარი ჯდომების გამომწვევი მიზეზები შპუნტური (ხიმინჯოვანი) კედლის მოწყობით, კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე.

ნაკვეთურებს შორის საჭირო იყო მოწყობილიყო ტექნიკური ნაკერი ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ ტექნიკურ ნაკერების ზონის მიმდებარედ მოწყობილიყო ნაკვეთურების გამმიჯნავი, არსებულ კონსტრუქციებთან დამონოლითებული, ახალი რკინა-ბეტონის ჩანართი-ჩარჩო.

უზრუნველყოფილიყო დეფორმირებული აივნების (ნიშნულები 9.73 მ. და 13.85 მ. ღერძები „9“ და „12“) გადახუვის ფილების ნაპირების პირვანდელ კონსტრუქციულ მდგომარეობამდე აღდგენა მათი დაგრძელების გზით. ანუ აღდგენილიყო კონტაქტი „საცოცავი“ კონსტრუქციების ზედაპირებთან.

კვლევით ნაწილში აღნიშნული იყო, რომ სარდაფში მოწყობილ გრძივ და განივ მონოლითური რკინაბეტონის კოჭების ქვედა ზედაპირებზე ფიქსირდებოდა ბეტონის ფრაგმენტების ჩამოტეხვა და არმატურის ლოკალური უბნების გაშიშვლება. საჭირო იყო შიშველი არმირების ზონების დამუშავება ანტიკოროზიული ხსნარით და შელესვა მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

2018 წლის კონსტრუქციული კვლევის ანალიზის საფუძველზე მომზადდა სპეციალურად დამუშავებული პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო ზემოთ

მოყვანილი რეკომენდაციები, რის შედეგადაც ობიექტზე შესრულდა შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები.

1.4. პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსის მზიდი

კონსტრუქციის კონსტრუქციული სქემა

1.4.1. საძირკვლების დაფუძნება

საძირკვლების დაფუძნების თვალსაზრისით: (საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით) ქ. თბილისი და მისი შემოგარენი გეოლოგიურად წარმოადგენს დანაწევრებულ ტერიტორიას, რომელიც მდ. მტკვრის შუა დონეშია განთავსებული. ქალაქის რელიეფის გეომორფოლოგიური ფორმები დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებასთან, რომელიც მცირე კავკასიონის რთული მთიანი ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამრიგად თბილისის ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ქვაბულის ხეობას.

მამადავითის და წყნეთის ამაღლების მთის ძირებთან მდ. ვერეს ღრმა ხეობა არის გაჭრილი. მდ. ვერეს ზემო დინებაში, თბილისის ქვაბულის დასავლეთ ნაწილის ადგილმდებარეობის მორფოლოგია შესამჩნევად იცვლება და ხასიათდება მკვეთრად დანაწევრებული მთიანი ლანდშაფტით, სადაც განვითარებულია მაღალი, ციცაბო-ფერდობიანი ამაღლებული და ღრმა ხეობები. ყველა ჩამოთვლილი ამაღლება მდ. მტკვრის კალაპოტის პარალელურია, მათი ფერდობები დანაწევრებულია მრავალრიცხოვანი ხევებით, რომლებიც ამაღლებებს პატარა ქედების ფორმას აძლევს, ხოლო ეს ქედები თანდათანობით დადაბლებული, ცალკეული მწვერვალების სისტემებისგან შედგება. მდ. მტკვრის ხეობის ორივე ფერდობი დატერასებულია ქალაქის ფარგლებში. ჭალის ტერასის ჩათვლით სულ ექვსი ტერასა არის განვითარებული. მარჯვენა სანაპიროზე ისინი წყვეტილი ზოლების სახით გრძელდება, რადგანაც ერთმანეთისგან ხევებითაა განცალკევებული.

საკვლევი უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, მამადავითის ქედის, ჩრდილოური ექსპოზიციის მთის წინა დამრეცი ფერდის ნაწილს. იგი ტექნოგენურ-ეროზიული წარმოშობისაა და თანხმობით გადადის მდ. მტკვრის მარჯვენა III ჭალისზედა ტერასაში (საბურთალო-ავლაბრის ტერასა). ფერდობი ინტენსიური განაშენიანების შედეგად დატერასებულია. ჭიჭინაძის ქუჩის აღმა, რელიეფი გადადის მამადავითის ქედის ჩრდილო-ციცაბო, კლდოვან

ფლატეში. ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილია ზღვიური, ძირითადი დანალექი ქანებით, ლითოლოგიურად წარმოდგენილია არგილიტებითა და ქვიშაქვებით, რომელიც გადაფარულია კონტინენტური დელივიურ-პროლივიური გენეზისის, ზედა მეოთხეული ასაკის ქანებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ღორღით (არგილიტებისა და ქვიშაქვების ჩამონაშალი) თიხნარის შემავსებლით, მოყავისფრო, რუხი-ჟანგისფერი და თიხნარით ძნელპლასტიკური, მოყვითალო ფერის. ზოგან გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობის ქვიშები-ყვითელი ფერის. სტრატეგრაფიულ ჭრილში ჭარბობენ ნაცრისფერი დანაპრალიანებული, საშუალო სიმტკიცის, საშუალოდ დარბილებადი ქვიშაქვები. თანამედროვე მეოთხეული ასაკის დელივიურ-პროლივიური ნალექების სიმძლავრე შესწავლილ ტერიტორიაზე აღწევს 38,0 მ-ს, ხოლო ზედა-ეოცენური ძირითადი დანალექი ქანების სიმძლავრე რამდენიმე ასეულ მეტრს (1000-1200 მ) აღემატება.

ჰიდროგეოლოგიური პირობების ფორმირება, უშუალოდაა დაკავშირებული გეოლოგიურ, გეომორფოლოგიურ და ტექნიკურ გარემოსთან. აქ გრუნტის წყლის დონის არსებობას განაპირობებს, როგორც ატმოსფერული ნალექების (წვიმის, თოვლის დნობა), ასევე ტექნოგენური (სანიაღვრე, კანალიზაციისა და წყალსადენის სისტემიდან გაჟონილი) წყლების არსებობა. ალუვიურ-პროლივიური ფხვიერი ქანებისა და ძირითადი დანალექი ნახევრად კლდოვანი ქანების კონტაქტზე ფიქსირდება მიწისქვეშა წყლების დონე.

ცნობისათვის 1977 წლის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემებით გრუნტის წყლების სარკე განლაგებული იყო დაახლოებით 408 მ ნიშნულზე (შიგა ეზოში). წყლების მოძრაობის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი ეროზიის ბაზისი-მდ. მტკვარი.

1.4.2. საკვლევი ობიექტის შემადგენელი

ლენტური ტიპის საძირკვლები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით პარლამენტის სასახლეს (იხ. დანართი სურათები: №42, №46)

ა) ძირითადი „C“ ბლოკი (ზუბალაშვილების ქუჩის გასწვრივ)

- „ლ“ ღერძზე (მთლიანად);
- „მ“ ღერძზე „1“ და „2“ ღერძებს შორის;
- „2“ ღერძზე. „ლ“ და „მ“ ღერძებს შორის;

- „19“ ღერძზე, „ლ“ და „მ“ ღერძებს შორის;
- „მ“ ღერძზე, მე-„19“ და მე-„20“ ღერძებს შორის;
- „1“ ღერძზე (მთლიანად);
- „20“ ღერძზე (მთლიანად);
- „5“, „6“, „15“ და „16“ ღერძებზე „მ“ და „ნ“ ღერძებს შორის;
- „მ“ ღერძზე „5“ და „6“ ღერძებს შორის;
- „მ“ ღერძზე „15“ და „16“ ღერძებს შორის;
- „ნ“ ღერძზე „5“ და „6“ ღერძებს შორის;
- „ნ“ ღერძზე „15“ და „16“ ღერძებს შორის;
- „4, „6“ ღერძებზე, „ო“ და „პ“ ღერძებს შორის;
- „15“ და „17“ ღერძებზე „ო“ და „პ“ ღერძებს შორის;
- „პ“ ღერძზე (მთლიანად);

მარცხენა და მარჯვენა ფლიგელები:

ბ) მარცხენა ფლიგელი

- „ლ“ ღერძზე (მთლიანად);
- „15“ ღერძზე (მთლიანად);
- „10“ ღერძზე (მთლიანად);
- „20“ ღერძზე (მთლიანად);
- „18“ ღერძზე (მთლიანად);

გ) მარჯვენა ფლიგელი

- „1“ ღერძზე (მთლიანად);
- „ლ“ ღერძზე (მთლიანად);
- „6“ ღერძზე (მთლიანად);
- „10“ ღერძზე (მთლიანად);

ზემოთ ჩამოთვლილ უბნებზე მოწყობილი აქვს მონოლითური, რკინა-ბეტონის ლენტური საძირკვლები. (იხ. დანართი №1, სურათები: №62, №66, №68, №72).

1.4.3. საკვლევი ობიექტის შემადგენელი

წერტილოვანი ტიპის საძირკვლები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით პარლამენტის სასახლის ძირითად C ბლოკს და მის მომიჯნავე მარცხენა და მარჯვენა ფლიგელებს „მ“, „ლ“, „მ1“, „ნ1“, „ო“, „ო1“, „პ“ ღერძებზე არსებული სვეტების ქვეშ მოწყობილი აქვს მონოლითური, რკინა-ბეტონის, წერტილოვანი ტიპის საძირკვლები. (იხ. დანართი №1, სურათები: №39, №40, №41, №43, №46, №48, №55, №56, №65, №66, №70, №72, №75, №78, №79, №80).

1.4.4. სარდაფის სართულზე არსებული

ბეტონის კედლები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, პარლამენტის სასახლის C კორპუსის სარდაფის სართულზე „პ1“ ღერძზე (გალერიის პერიმეტრის კედელი მთლიანად) „11“ ღერძზე (მთლიანად) „პ“ ღერძზე, მე-„ვ“ და მე-„17“ ღერძებს შორის, მე-„4“, მე-„6“, მე-„15“ და მე-„17“ ღერძებზე, „ო“ და „პ“ ღერძებს შორის, „ნ“ ღერძზე, მე-„5“ და მე-„6“ ღერძებს შორის, „ნ“ ღერძზე მე-„15“ და მე-„16“ ღერძებს შორის, მე-„5“, მე-„6“, მე-„15“ და მე-„16“ ღერძებზე, „მ“ და „ნ“ ღერძებს შორის, „მ“ ღერძზე, მე-„5“ და მე-„6“ ღერძებს შორის, „მ“ ღერძზე, მე-„15“ და მე-„16“ ღერძებს შორის, „ლ“ ღერძზე, მე-„6“ და მე-„15“ ღერძებს შორის, „201“ ღერძზე (გალერიის კედელი), მე-„19“ ღერძზე, „ლ“ და „მ“ ღერძებს შორის მოწყობილია ბეტონის ფაქტურის კედლები. (იხ. დანართი №1, სურათები: №85, №86).

1.4.5. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციის

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტები

საკვლევი ობიექტის ძირითად C ბლოკს და მის მომიჯნავე მარცხენა და მარჯვენა ფლიგელებს მოწყობილი აქვს სხვადასხვა კვეთის მონოლითური რკინაბეტონის სვეტები: (იხ. დანართი №1, სურათები: №29, №32, №33, №34, №39, №40, №46, №70, №75, №76, №77, №78, №82, №91, №92, №93).

1.4.6. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციის

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, პარლამენტის სასახლის C კორპუსში და მის მომიჯნავე ფლიგელებში სარდაფის სართულიდან, გადახურვის კონსტრუქციის ნიშნულის ჩათვლით მოწყობილია სხვადასხვა კვეთის მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭები. (იხ. დანართი №1, სურათები: №21, №22, №24, №27, №29, №34, №35, №36, №39, №40, №45, №47, №48, №51, №59, №60, №64, №65, №66, №70, №71, №72, №76, №77, №78, №79, №80, №82, №88, №90, №91, №92, №93, №94).

1.4.7. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციების

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის

სართულშუა გადახურვები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, საკვლევ ობიექტს (ძირითადი C კორპუსი და მომიჯნავე ფლიგელები) სართულშუა გადახურვების სახით, მოწყობილი აქვს მონოლითური რკინაბეტონის ფილები. (იხ. დანართი №1, სურათები: №39, №40, №47, №48, №54, №57, №58, №63, №64, №65, №66, №69, №70, №75, №76, №78, №80, №83, №84).

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შენობის კიბის უჯრედების გადახურვა შესრულებულია კესონური ტიპის ფილებით. (იხ. დანართი №1, სურათები: №19, №95, №96, №101, №102).

1.4.8. საკვლევი ობიექტის კედლები

აღნიშნულ საკვლევ კორპუსს მთელ სიმაღლეზე მოწყობილი აქვს კედლები შევსების სახით, რომლებიც შესრულებულია ძირითადად სამშენებლო აგურის წყობისაგან, აღინიშნება ნათალი ქვის ბლოკის წყობაც.

1.4.9. მზიდი ელემენტების კონკრეტულ

თანწყობასთან დაკავშირებით

წინა პუნქტებში აღინიშნა, რომ კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდი კონსტრუქციის ამგები ელემენტები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით, არსებული ნაგებობის მზიდი ჩონჩხედი (კარკასი) კომბინირებულია,

(ლენტური და წერტილოვანი ტიპის საძირკვლები, სვეტები, სართულშუა გადახურვები), ხოლო შემომზღუდავი კედლები და შიგა ტიხრები შესრულებულია აგურის და წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობისაგან. ნაკვეთურის პერიმეტრზე მოწყობილია ლენტური საძირკველი, ხოლო შენობის ჩონჩხედის შიგა სვეტები განთავსებულია წერტილოვან საძირკვლებზე, რომლებიც შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით. არსებული შენობის სახურავი ორქანობიანია, შესრულებულია ხე მასალისა და თუნუქის გამოყენებით.

C კორპუსის ცენტრალური ფლიგელი შედგება სამი ბლოკისაგან (ასევე მარცხენა და მარჯვენა მომიჯნავე ფლიგელები) ბლოკებს შორის არსებული ტექნიკური ნაკერი მოწყობილია მე-20 საუკუნის შუა წლებში გავრცელებული სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად, კერძოდ გამოყენებულია ე.წ. „მცოცავი“ საყრდენები, ანუ სარეაბილიტაციო შენობის განსახილველი ბლოკის ჩონჩხედის განაპირა რკინაბეტონის გრძივი კოჭები თავისუფლადაა დაყრდნობილი მომიჯნავე ბლოკის ჩარჩოს სვეტებზე მოწყობილ კონსოლებზე, ხოლო რკინაბეტონის ფილა ასევე თავისუფლადაა დაყრდნობილი მომიჯნავე ბლოკის ჩარჩოს კოჭებზე.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018 წელს განხორციელებულია ქ. თბილისში, რუსთაველის № 8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის დაზიანებული ნაკვეთურის (C კორპუსის სამი ბლოკიდან ცენტრალური ფლიგელი, ზუბალაშვილის ქუჩის მიმდებარედ) ნაგებობის მზიდი ჩონჩხედის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც შესრულებულია ადრე ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით დამუშავებული სამუშაო პროექტის მონაცემების საფუძველზე.

C კორპუსის ცენტრალური ფლიგელის ბლოკების გამმიჯნავ სიბრტყეებთან, ღერძები “8” და “13” მოწყობილია არსებულ კონსტრუქციებთან გაერთმთლიანებული ახალი რკინაბეტონის ჩანართი-ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სამივე ბლოკის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას. კერძოდ, ცენტრალური ნაკვეთურის ორივე ბოლოში მოწყობილია ახალი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო, რომელიც ამჟამად კონსოლურად მომუშავე კოჭებს და ფილას უქმნის საყრდენ კონსტრუქციას და ტემპერატურულ ნაკერში გაჩენილია წყვილი სვეტი.

მზიდი ჩონჩხედის (კარკასის) რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. რკინაბეტონის მამლიერებელი ჩანართი-ჩარჩოს აგება შესრულდა ეტაპობრივად ყველა გადახურვისათვის ცალ-ცალკე (ეტაპები თანმიმდევრობა და სათანადო ტექნიკური გადაწყვეტები სრულდებოდა ჩანართი-ჩარჩოს ნახაზების მიხედვით);
2. დომკრატების დაჭიმვით და ხის სივრცითი ქარგილების გამოყენებით გამაგრებული იქნა სარდაფის გადახურვის ფილა („პი“ ღერძებს შორის, „7-8“ და „12-13“ ღერძების არეალში), ისე, რომ „8“ და „13“ ღერძებიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად დატოვებული იყო 600 მმ. მანძილი. (პირველი ეტაპი);
3. „8“ და „13“ ღერძებიდან 600 მმ. მანძილზე ზიგზაგურად მოინგრა არსებული რკინაბეტონის ფილა;
4. დაიხვრიტა არსებული საძირკველი და ნახვრეტებში ჩაანკერდა (ქიმიური ანკერირებით) ჩანართი-ჩარჩოს სვეტების პირველი ეტაპის არმატურები, ასევე, დაიხვრიტა განაპირა გრძივ ღერძებზე („ი“ და „ლ“) განთავსებული რკინაბეტონის კოჭები და ნახვრეტებში ჩაანკერდა ჩანართი-ჩარჩოს რკბ კოჭების პირველი ეტაპის არმატურები;
5. არსებული ფილის მონგრეულ ნაწილში მოეწყო არმატურის კარკასები მამლიერებელი ჩარჩოს კოჭიდან ტექნიკური ნაკერის მოკლე კონსოლის ჩათვლით;
6. ფილის ზიგზაგურად მონგრეული ნაწილის გარეცხვის, ძველი არმატურების გაწმენდის შემდეგ დაბეტონდა;
7. დეფორმირებული აივნების (ნიშნულებზე ▼9.73 მ. და ▼13.85 მ. ღერძებთან „9“ და „12“) გადახურვის ფილების ნაპირების პირვანდელ კონსტრუქციულ მდგომარეობამდე აღდგენა შესრულებულია მათი დაგრძელების გზით;
8. ნაკვეთურების დეფორმირების გამო ფასადებზე გაჩენილი ბზარები (მათ შორის დაზიანებული დეკორატიული კარნიზი) შევსებულია და აღდგენილია პირვანდელი სახით.

1.4.10. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციის

კონსტრუქციული სქემის შესაბამისობის დადგენა

ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტის მონაცემებთან

ზემოთმოყვანილი შენობის მზიდი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტების კომბინაციით კონსტრუქციული სქემა შეესაბამება სამშენებლო ნორმები და წესები- „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის თავი III-ის, მუხლი მე-6-ის, ცხრილი №8-

ის, მე-3 პუნქტის „ბ“-ის მონაცემებს და განიხილება, როგორც ჩარჩოვანი აგურის ან მცირე ზომის ბლოკების შევსებით, სადაც მოედნის სეისმურობის 8 ბალის შემთხვევისათვის დასაშვებია 7 სართული.

1.5. საკვლევი ობიექტის ვიზუალური კვლევა და შედეგების ანალიზი

სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე საკვლევად წარმოდგენილ ობიექტს საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობის, მათი ანალიზისა და სისტემატიზაციის შემდეგ, ჩაუტარდა ვიზუალური კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დადგინდა შემდეგი (ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დეტალური გამოკვლევისათვის საჭირო ღონისძიებების შედგენა განხორციელდა 120000 მ³-ზე).

1.5.1. საძირკვლების დაფუძნება

გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა (ძირითადი C კორპუსი, მომიჯნავე მარცხენა და მარჯვენა ფლიგელები) 50 გრძივი მეტრი შურფების გაყვანა. მათი ადგილმდებარეობები დატანილია წარმოდგენილ ტოპო-გეგმაზე. დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის C კორპუსის ტერიტორია, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ვინაიდან ჩატარებული სარეკოგნოსცირებო სამუშაოთა შედეგად არავითარი უარყოფითი გეოდინამიური პროცესები არ აღინიშნება. ასევე, არსებული გეოლოგიური ლიტერატურული და სასწავლო-ფონდური მასალების მიხედვით, რაიმე სეისმოგენერილებადი პროცესი არ ფიქსირდება და არც ექსპლუატაციის შემდგომ პერიოდში არის მოსალოდნელი.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნულ უბანზე სპეციალისტების მიერ შესწავლილ სიღრმეზე, მიწის ზედაპირიდან 13,6 მეტრამდე მიწისქვეშა წყლები არ არის გამოვლენილი. (18.03-10.05.2020 წ). აღნიშნული დასტურდება ვიზუალური ფიქსირებითაც. გამოკვლეულ უბანზე ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით გამოყოფილი იქნა 2 ფენა. 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

ფენა-1-ღორღი (არგილიტებისა და ქვიშაქვების ჩამონაშალი), თიხნარის შემავსებლით, მოყავისფრო, რუხი-ჟანგისფერი.

ფენა-2- თიხნარი, ძნელპლასტიკური, კონსოლიდირებული, მოყვითალო ფერის ხვინჭის ჩანართით 5 %-მდე.

არსებული ნაგებობის საძირკვლის საყრდენ ფუძე გრუნტს წარმოადგენს ფენა-2.

1.5.2. საკვლევი ობიექტის შემადგენელი ლენტური ტიპის საძირკვლები

აღნიშნულ ნაგებობებს მოწყობილი აქვს მონოლითური, რკინა-ბეტონის ლენტური საძირკვლები. აღნიშნულ ტიპის საძირკვლების უბნები მოყვანილი იყო წინამდებარე დასკვნის კონსტრუქციული სქემის დადგენის პუნქტში. მათზე არ აღინიშნება ჯდომისათვის დამახასიათებელი დეფორმაციები. შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვერტიკალური ორიენტაციის მაგისტრალური დიაპაზონის ბზარი აღინიშნება ძირითადი C კორპუსის „12“ და „13“ ღერძებს შორის ნაკერის ზონაში. (იხ. დანართი №1, სურათები: №62, №66, №68, №72).

1.5.3. საკვლევი ობიექტის შემადგენელი წერტილოვანი ტიპის საძირკვლები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით პარლამენტის სასახლის ძირითად C ბლოკს და მის მომიჯნავე მარცხენა და მარჯვენა ფლიგელებს „მ“, „ლ“, „მ1“, „ნ1“, „ო“, „ო1“, „პ“ ღერძებზე არსებული სვეტების ქვეშ მოწყობილი აქვს მონოლითური, რკინა-ბეტონის, წერტილოვანი ტიპის საძირკვლები. მათზე არ აღინიშნება ჯდომისათვის დამახასიათებელი დეფორმაციები და ბზარები. (იხ. დანართი №1, სურათები: №39, №40, №41, №43, №46, №48, №55, №56, №65, №66, №70, №72, №75, №78, №79, №80).

1.5.4. სარდაფის სართულზე არსებული ბეტონის კედლები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, პარლამენტის სასახლის C კორპუსის სარდაფის სართულზე მოწყობილია ბეტონის ფაქტურის კედლები. მათზე არ აღინიშნება დეფორმაციები და ბზარები. ფიქსირდება ლოკალური სახის ბეტონის განშრევებული უბნები. (იხ. დანართი №1, სურათები: №85, №86).

1.5.5. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციის

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტები

საკვლევი ობიექტის ძირითად C ბლოკს და მის მომიჯნავე მარცხენა და მარჯვენა ფლიგელებს მოწყობილი აქვს სხვადასხვა კვეთის მონოლითური რკინაბეტონის სვეტები. აღნიშნულ მზიდ ელემენტებზე არ ფიქსირდება ძალოვანი დეფორმაციები და ბზარები. წლების უკან გაძლიერებულ სვეტებზე, რომლებიც მდებარეობენ ნაკერების ზონებში (სარდაფის სართულზე, ძირითად C კორპუსში) ფიქსირდება ბეტონის ლოკალური ხასიათის განშრევებული უბნები. (იხ. დანართი №1, სურათები: №29, №32, №33, №34, №39, №40, №46, №70, №75, №76, №77, №78, №82, №91, №92, №93).

1.5.6. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციის

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, პარლამენტის სასახლის C კორპუსში და მის მომიჯნავე ფლიგელებში სარდაფის სართულიდან, გადახურვის კონსტრუქციის ნიშნულის ჩათვლით მოწყობილია სხვადასხვა კვეთის მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭები. ამ ელემენტებზე არ ფიქსირდება ძალოვანი დეფორმაციები და ბზარები. შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ელემენტებზე ქვედა ზონებში ფიქსირდება არმატურების გამიშვლებული ლოკალური ხასიათის ზონები. (იხ. დანართი №1, სურათები: №21, №22, №24, №27, №29, №34, №35, №36, №39, №40, №45, №47, №48, №51, №59, №60, №64, №65, №66, №70, №71, №72, №76, №77, №78, №79, №80, №82, №88, №90, №91, №92, №93, №94).

1.5.7. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციების

შემადგენელი მონოლითური რკინა-ბეტონის

სართულშუა გადახურვები

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით, საკვლევ ობიექტს (ძირითადი C კორპუსი და მომიჯნავე ფლიგელები) სართულშუა გადახურვების სახით, მოწყობილი აქვს მონოლითური რკინაბეტონის ფილები. ისინი არ ხასიათდება დეფორმაციებით და ბზარებით. (იხ. დანართი №1, სურათები: №39, №40, №47, №48, №54, №57, №58, №63, №64, №65, №66, №69, №70, №75, №76, №78, №80, №83, №84).

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შენობის კიბის უჯრედების გადახურვა შესრულებულია კესონური ტიპის ფილებით. ისინი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. (იხ. დანართი №1, სურათები: №19, №95, №96, №101, №102).

1.5.8. საკვლევი ობიექტის კედლები და ლიფტების უჯრედები

აღნიშნულ საკვლევ კორპუსს მთელ სიმაღლეზე მოწყობილი აქვს კედლები შევსების სახით, რომლებიც შესრულებულია ძირითადად სამშენებლო აგურის წყობისაგან, აღნიშნება ნათალი ქვის ბლოკის წყობაც. აღნიშნული კედლები ხასიათდება მრავლობითი ბათქაშჩამომლილი უბნებით. (სარდაფის სართული).

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლიფტის უჯრედის კედლები, რომელიც მდებარეობს „15“ და „16“ ღერძებს შორის „ო“ ღერძისკენ, ყველა სართულზე კედლების შუა ზონაში ხასიათდება ჰორიზონტალური ორიენტაციის თითო-თითო ბზარით.

1.5.9. მზიდი ელემენტების კონკრეტულ თანწყობასთან დაკავშირებით

წინა პუნქტებში აღინიშნა, რომ კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდი კონსტრუქციის ამგები ელემენტები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით, არსებული ნაგებობის მზიდი ჩონჩხედი (კარკასი) კომბინირებულია, (ლენტური და წერტილოვანი ტიპის საძირკვლები, სვეტები, სართულშუა გადახურვები), ხოლო შემომზღუდავი კედლები და შიგა ტიხრები შესრულებულია აგურის და წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობისაგან.

ნაკვეთურის პერიმეტრზე მოწყობილია ლენტური საძირკველი, ხოლო შენობის ჩონჩხედის შიგა სვეტები განთავსებულია წერტილოვან საძირკვლებზე, რომლებიც შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით. არსებული შენობის სახურავი ორქანობიანია, შესრულებულია ხე მასალისა და თუნუქის გამოყენებით.

C კორპუსის ცენტრალური ფლიგელი შედგება სამი ბლოკისაგან (ასევე მარცხენა და მარჯვენა მომიჯნავე ფლიგელები) ბლოკებს შორის არსებული ტექნიკური ნაკერი მოწყობილია მე-20 საუკუნის შუა წლებში გავრცელებული სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად, კერძოდ გამოყენებულია ე.წ. „მცოცავი“ საყრდენები, ანუ სარეაბილიტაციო შენობის განსახილველი ბლოკის ჩონჩხედის განაპირა რკინაბეტონის გრძივი კოჭები

თავისუფლადაა დაყრდნობილი მომიჯნავე ბლოკის ჩარჩოს სვეტებზე მოწყობილ კონსოლებზე, ხოლო რკინაბეტონის ფილა ასევე თავისუფლადაა დაყრდნობილი მომიჯნავე ბლოკის ჩარჩოს კოჭებზე.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018 წელს განხორციელებულია ქ. თბილისში, რუსთაველის № 8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის დაზიანებული ნაკვეთურის (C კორპუსის სამი ბლოკიდან ცენტრალური ფლიგელი, ზუბალაშვილის ქუჩის მიმდებარედ) ნაგებობის მზიდი ჩონჩხედის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც შესრულებულია ადრე ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით დამუშავებული სამუშაო პროექტის მონაცემების საფუძველზე.

C კორპუსის ცენტრალური ფლიგელის ბლოკების გამმიჯნავ სიბრტყეებთან, ღერძები “8” და “13” მოწყობილია არსებულ კონსტრუქციებთან გაერთმთლიანებული ახალი რკინაბეტონის ჩანართი-ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სამივე ბლოკის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას. კერძოდ, ცენტრალური ნაკვეთურის ორივე ბოლოში მოწყობილია ახალი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო, რომელიც ამჟამად კონსოლურად მომუშავე კოჭებს და ფილას უქმნის საყრდენ კონსტრუქციას და ტემპერატურულ ნაკერში გაჩენილია წყვილი სვეტი.

აღნიშნული ახლად მოწყობილი რკინაბეტონის ჩარჩოების შემადგენელი ელემენტები არ ხასიათდება (წინამდებარე კვლევის პერიოდისათვის) ძალოვანი დეფორმაციებით და ბზარებით.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მარცხენა და მარჯვენა ფლიგელებში მოწყობილ ნაკერების ზონებში (ფლიგელების მთელ სიმაღლეზე) ფიქსირდება მცირედი დაშორებები.

1.6. ინსტრუმენტული კვლევა

დამკვეთის მიერ სპეციალისტთა ჯგუფის წინაშე, საკვლევად (შეთანხმებული, ტექნიკური დავალების პუნქტების თანახმად) წარმოდგენილი ობიექტისათვის (პარლამენტის სასახლის ძირითადი C კორპუსი, მისი მომიჯნავე მარჯვენა და მარცხენა ფლიგელები) წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობის, ჩატარებული ვიზუალური კვლევის შემდეგ განხორციელდა ინსტრუმენტული კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

1.6.1. კონსტრუქციის შემადგენელ მზიდ ელემენტებში არმირების კვეთების და განლაგების დადგენა არამრღვევი კონტროლის მეთოდით (ტექნიკური დავალების მონაცემების შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით კვლევა განხორციელდა 164 ელემენტზე)

1.6.1.1. მონოლითური რკინაბეტონის სვეტები

პარლამენტის სასახლის ძირითად C კორპუსში, მის მომიჯნავე მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებში არსებულ მონოლითურ რკინაბეტონის ძირითად სვეტებში განთავსებულია 10 ღერო D=28-იანი მუშა არმატურა, ხოლო საკიდების სახით გამოყენებულია d-8-იანი ფოლადის გლუვი პროფილის ღეროები, ღეროების ცვალებადი ბიჯით 15-25 სმ.

1.6.1.2. მონოლითური რკინაბეტონის კოჭები

ა). შენობების განივად მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის კოჭები

მონოლითური რკინაბეტონის აღნიშნულ კოჭების ქვედა ზონებში განთავსებულია 4 ღერო D=28-იანი მუშა არმატურა, ხოლო საკიდების სახით გამოყენებულია d-8-იანი ფოლადის გლუვი პროფილის ღეროები, ღეროების ცვალებადი ბიჯით 18-22 სმ.

ბ). შენობის სარდაფის სართულზე გრძივად მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის კოჭები

მონოლითური რკინაბეტონის აღნიშნულ კოჭების ქვედა ზონებში განთავსებულია 4 ღერო D=25-იანი მუშა არმატურა, ხოლო საკიდების სახით გამოყენებულია d-8-იანი ფოლადის გლუვი პროფილის ღეროები, ღეროების ცვალებადი ბიჯით 15-25 სმ.

1.6.1.3. სარდაფების გადახურვის მონოლითური

რკინაბეტონის ფილები

- სარდაფების გადახურვის ფილების სისქე შეადგენს 10 სმ-ს;
- ფილებში განთავსებულია ერთბადიანი გლუვი პროფილის d-8-იანი არმატურები, რომელთა ბიჯი ერთი მიმართულებით შეადგენს 5 სმ-ს, ხოლო მეორე მიმართულებით 8 სმ-ს.

1.6.1.4. შენობების სხვა სართულებზე მოწყობილი

სართულშუა გადახურვის მონოლითური

რკინაბეტონის ფილები

ფიზიკო-მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების დასადგენად კვლევა განხორციელდა ძირითადად არამრღვევი კონტროლის მეთოდით, ხოლო ძირითადი კორპუსის მეექვსე სართულზე №627 ოთახში განხორციელდა იატაკის და ჭერის ფილების, ბეტონის მოჭიმვის ფრაგმენტის მოხსნა და ამ ფრაგმენტში არმატურების გაშიშვლიება.

- სართულშუა გადახურვის ფილის სისქე, მთლიანად (ბეტონის მოჭიმვის ჩათვლით) 27 სმ, ბეტონის ფილის სისქე 22 სმ, ბეტონის მოჭიმვის სისქე 5 სმ;
- ფილის შემადგენელი ბეტონის სიმტკიცის მნიშვნელობა 350 კმ/სმ² -დან 370 კმ/სმ² -მდე;
- მონოლითური ფილის არმირება:
 - ა) არმირების დამცავი ფენა ქვედა ზონაში 1 სმ-მდე;
 - ბ) არმირების დამცავი ფენა ზედა ზონაში 5 სმ;
 - გ) ქვედა ზონის არმირება: შეწყვილებული d-8-იანი A-I არმატურების ბადე ბიჯით 15-17 სმ;
 - დ) ზედა ზონის არმირება: შეწყვილებული d-8-იანი A-I არმატურების ბადე ბიჯით 15-17 სმ;

1.6.2. საკვლევი ობიექტის მზიდი კონსტრუქციების შემადგენელ ელემენტებში განთავსებული არმირების შიშველი ზონების შემოწმება კოროზიაზე და მიღებული შედეგების შედარება 2018 წელს ჩატარებულ კვლევის მონაცემებთან (აღნიშნული მიმართულებით კვლევა განხორციელდა 50 ელემენტზე)

1.6.2.1. 2018 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემთა დიაპაზონი

2018 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით საკვლევი ობიექტის სარდაფში არსებული მზიდი ელემენტების ჩამოტეხილი ფრაგმენტების (გაშიშვლებული) არმირების ზონებიდან უშუალო კონტაქტის საფუძველზე რეპერული წერტილებიდან მიღებულ მნიშვნელობათა (პოტენციალთა სხვაობა) დიაპაზონი იცვლებოდა +59 მვ-დან 64 მვ-მდე. პოტენციალთა სხვაობის დადებითი მნიშვნელობა მიუთითებს ჟანგვას CuSO_4 –ით. არ იყო განვითარებული ტუტირებული ჟანგვა.

1.6.2.2. ახალი კვლევის შედეგები

აღნიშნული მიმართულებით კვლევა განხორციელდა არამრღვევი კონტროლის მეთოდის გამოყენებით. ლითონის კოროზიაზე შესამოწმებელი ხელსაწყო ზონდის დეტექტორი მუშაობს ლითონთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე, იმპულსური ინდუქციის პრინციპით.

ლითონებში კოროზიის ხარისხის დასადგენად კვლევა მიმდინარეობდა ხელსაწყოთა დასაშვებ გარემოს $+12^{\circ}\text{C} \div +18^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის დიაპაზონში (ხელსაწყო ნორმალური მუშაობის დასაშვები დიაპაზონია $+10^{\circ}\text{C} \div +42^{\circ}\text{C}$).

ახალი ვიზუალური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეირჩა შესაბამისი ელემენტების ჩამოტეხილი ფრაგმენტების (გაშიშვლებული) არმირების ზონები.

კოჭი „პ' -1“ \div „პ' -3“, ქვედა ზონის არმირება \varnothing 25-იანი მუშა არმატურით. რეპერული წერტილებიდან აღებული მონაცემები იხ. ცხრილი №1-ში.

ცხრილი №1

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
$V_{\text{მვ}}$	+68	+61	+58	+68	+61	+57	+66	+59	+60	+64

$V_{\text{მვ}} = 65$ მვ

ცხრილ №1-ში პოტენციალთა სხვაობის დადებითი მნიშვნელობები მიუთითებს ჟანგვას CuSO_4 –ით საშუალო მნიშვნელობა $V_{\text{საშ}} = 64$ მვ 5 ერთეულით აღემატება.

(ზედაპირული ჟანგვის დასაშვები პოტენციალთა სხვაობის დიაპაზონია 0 +60მვ), რაც მიუთითებს რომ ლითონებში დაწყებულია მცირე სტრუქტურული კოროზია.

საკიდების სახით მოწყობილია 6-იანი გლუვი პროფილის ნაგლინი. რეპერული წერტილებიდან აღებული მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ №2-ში.

ცხრილი №2

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
V _{მვ}	+58	+61	+58	+64	+68	+61	+64	+57	+66	+63

V_{მვ} = 64 მვ

ცხრილ №2-ში პოტენციალთა სხვაობის დადებით მნიშვნელობები მიუთითებს ჟანგვას CuSO₄ –ით. საშულო მნიშვნელობა V_{საშ} = 64.0 მვ 4 ერთეულით აღემატება ზედაპირული ჟანგვის დასაშვები დიაპაზონს, რაც მიუთითებს რომ აღნიშნულ ლითონის ელემენტებში დაწყებულია მცირე სტრუქტურული კოროზია.

კოჭი „პ -1“ ÷ „ო -1“, ქვედა ზონის არმირება Ø 22-იანი არმატურით. რეპერული წერტილებიდან აღებული მონაცემები იხ. ცხრილი №3-ში.

ცხრილი №3

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
V _{მვ}	+56	+59	+62	+52	+61	+63	+51	+52	+51	+60

V_{მვ} = 61მვ

ცხრილ №3-ში მოყვანილი პოტენციალთა სხვაობის მნიშვნელობები მიუთითებს ჟანგვას CuSO₄-ით. საშულო მნიშვნელობა V_{საშ} = 61 მვ 1 ერთეულით აღემატება ზედაპირული ჟანგვის დასაშვებ დიაპაზონს.

შესწავლილ ლითონის ელემენტის კრისტალურ მესერში მცირედ არის დაწყებული სტრუქტურული ჟანგვა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მ/მ გურამი რუსტამოვის მიერ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ N8, N01.15.05.049.001 ნაკვეთი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქაშუეთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საქართველოს პარლამენტის სასახლის C კორპუსის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები. სამუშაოთა შესრულების საფუძველს შეადგენს შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი“-სა და მ/მ გ. რუსტამოვს შორის 2020 წელს დადებული ხელშეკრულება.

ტერიტორიის გამოკვლევისათვის და საძირკვლების მდგრადობა-ამტანუნარიანობის დადგენისთვის საჭირო სამუშაოები შესრულდა 2020 წლის 18 მარტიდან 10.05.2020 წ-მდე პერიოდში. მათ შორის:

საძიებო სამუშაოები ჩატარებულია დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებული მოცულობით, იმ ადგილებში, რომელიც უფრო სახასიათოა.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენისას ვიხელმძღვანელეთ ს.ნ. და წ. 1.02.07-87 პ.1.19-ის მეორე შენიშვნისა და პ.1.22-ის თანახმად „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის“.

ს.ნ. და წ. 2.02.01.-83 “შენობა-ნაგებობათა ფუძეები“, სახ. სტანდარტი 25100–82 პნ 01.01.09 „სეისმომედეგი მშენებლობა“;

- პნ 02.01–08 „შენობისა და ნაგებობის ფუძეები“;
- პნ 01.05–08 „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
- 20522–82 „სტატისტიკური დამუშავება“ სახსტანდარტის მოთხოვნათა საფუძველზე;

საქართველოს პარლამენტის სასახლის არსებული შვიდსართულიანი C კორპუსის ფლიგელების ფუძე-საძირკვლების მდგომარეობის დასადგენად განხორციელდა კომპლექსური საინჟინრო-საექსპერტო სამუშაოები, რომლის შემადგენელი ნაწილია წინამდებარე ანგარიში, სადაც მოცემულია აღნიშნული შენობის ფუძე-გრუნტების საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

საქართველოს პარლამენტის სასახლე ადმინისტრაციულად მდებარეობს ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ცენტრალურ, მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში, რომელიც შემოსაზღვრულია ჩრდილო-დასავლეთიდან რუსთაველის გამზირით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ძმები ზუბალაშვილების ქუჩით, აღმოსავლეთიდან 9 აპრილის ქუჩით (აის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლით), ხოლო დასავლეთიდან ზ. ჭიჭინაძის ქუჩით (N1 საჯარო სკოლა). იგი შედგება A, B და C ბლოკებისაგან. C ბლოკს აქვს „II“-სებური ფორმა და შედგება 3 ბლოკისაგან (ფლიგელისაგან). მარცხენა - ჭიჭინაძისა და მარჯვენა - 9 აპრილის ქუჩებზე მდგომი ნაწილები 5 სართულიანია, ხოლო ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე გამომავალი - 7 სართულიანი. ყველა ბლოკს აქვს ჩარმავებული მიწისქვეშა 2-3 სართული, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია 4 (ოთხი) ტემპერატურულ-დეფორმაციული ნაკერით.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ძირითადი სახეობები და მოცულობები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

N	სამუშაოების დასახელება	განზ-ბა / ერთეული	რაოდენ- ობა
1	<i>საველე სამუშაოები</i>		
1.1.	ტერიტორიის ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება		
1.2.	ტერიტორიის სარეკოგნოსცირებო გამოკვლევა გეოდინამიური თვალსაზრისით		
1.3.	შურფების გაყვანა კვეთით 2,0 მ ² , სიღრმით თითოეული 3,0-4,8 მ, 15 შურფი II-III კატეგორიის გრუნტებში (დავალების მიხედვით უნდა გაგვეთხარა 50,0 გრძ. მ.)	გრძ. მ	54,1
1.4.	ჭაბურღილების გაყვანა მექანიკურ-სვეტური ბურღვის მეთოდით, სიღრმით თითოეული 7,7-10,4 მ, III კატეგორიის გრუნტებში (დავალების მიხედვით თითო უნდა ყოფილიყო 10 გრძ.მ)	გრძ. მ	146,2
1.5.	მონოლითების აღება (დავალების მიხედვით უნდა აღებულიყო 216 ნიმუში)	ცალი	220

N	სამუშაოების დასახელება	განზ-ბა / ერთეული	რაოდენ- ობა
2	ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები		
2.1.	ბუნებრივი ტენიანობა W%	ცდა	15
2.2.	სიმკვრივე გ/სმ ³	ცდა	15
2.3.	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ცდა	15
2.4.	პლასტიკურობა/ატერბერგის ზღვრები	ცდა	15
2.5.	ფორიანობა n%	ცდა	15
2.6.	კონსისტენციის მაჩვენებელი L	ცდა	15
3	კამერალური სამუშაოები		
3.1.	ტერიტორიის შესახებ არსებული საარქივო-საცნობაროდა საველე სამუშაოებით მიღებული მასალების დამუშავება		
3.2.	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე ტექნიკური ანგარიშის შედგენა	ანგარიში	1

გეომორფოლოგია, ჰიდროლოგია, გეოლოგიური აგებულება და სეისმურობა

ქ. თბილისი და მისი შემოგარენი მდებარეობს აღმოსავლეთ გრძედის 41°42^I-ისა და ჩრდილოეთ განედის 44°48^I-ის გადაკვეთაზე.

ქ. თბილისი და მისი შემოგარენი გეოლოგიურად წარმოადგენს დანაწევრებულ ტერიტორიას, რომელიც მდ. მტკვრის შუა დინებაშია განთავსებული. ქალაქის რელიეფის გეომორფოლოგიური ფორმები დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებასთან, რომელიც მცირე კავკასიონის რთული მთიანი ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამრიგად თბილისის ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ქვაბულის ხეობას. ქვაბულის სიგანე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 3000-4000 მეტრია, ხოლო მეტეხის ციხესთან 35-40 მეტრამდე ვირწროვდება.

მამადავითის და წყნეთის ამაღლების მთის ძირებთან მდ. ვერეს ღრმა ხეობა არის გაჭრილი.

მდ. ვერეს ზემო დინებაში, თბილისის ქვაბულის დასავლეთ ნაწილის ადგილმდებარეობის მორფოლოგია შესამჩნევად იცვლება და ხასიათდება მკვეთრად დანაწევრებული მთიანი ლანდშაფტით, სადაც განვითარებულია მაღალი, ციცაბო-ფერდობიანი ამაღლებული და ღრმა ხეობები.

მარცხენა სანაპირო მორფოლოგიით მკვეთრად განსხვავდება მარჯვენა სანაპიროსგან, იგი ხასიათდება რელიეფის უფრო რბილი, მომრგვალებული ფორმებით. აქ ჭარბობს ბორცვოვანი მაღალი ხეობები. ქვაბულის ეს ნაწილი წარსულში მდ. მტკვრის ინტენსიური ეროზიული ზემოქმედების მკაფიო კვალს ატარებს.

ყველა ჩამოთვლილი ამაღლება მდ. მტკვრის კალაპოტის პარალელურია; მათი ფერდობები დანაწევრებულია მრავალრიცხოვანი ხევებით, რომლებიც ამაღლებებს პატარა ქედების ფორმას აძლევს, ხოლო ეს ქედები თანდათანობით დადაბლებული, ცალკეული მწვერვალების სისტემებისგან შედგება.

ჩამოთვლილი ამაღლებების გადაღმა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ყოფილი მარილიანი ტბების საკმაოდ ფართო დეპრესია მდებარეობს, რომელიც მდინარე მტკვრის დინების პარალელურია. ამჟამად დეპრესია თბილისის ზღვით არის დაკავებული.

მდინარე მტკვრის ხეობის ორივე ფერდობი დატერასებულია ქალაქის ფარგლებში. ჭალის ტერასის ჩათვლით სულ ექვსი ტერასა არის განვითარებული. უფრო მკაფიოდ ტერასები დიდ ფართობზე მარცხენა სანაპიროზე აღინიშნება. მარჯვენა სანაპიროზე ისინი წყვეტილი ზოლების სახით გრძელდება, რადგანაც ერთმანეთისგან ხევებითაა განცალკევებული.

მდ. მტკვრის ნაპირები მკვეთრად არის გამოკვეთილი, იგი ქალაქის ფარგლებში მოქცეულია 5-6 მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლებში. მდ. მტკვრის სიღრმე ქალაქის ფარგლებში 0.3-2.2-ს შეადგენს. წყლის დინების სიჩქარეა 0.4-2.7 მ/წმ. კვების მიხედვით მდინარე მტკვარი შერეული ტიპისაა და ძირითადად ატმოსფერული ნალექებით (წვიმა, თოვლი) კვების ტიპს მიეკუთვნება.

ქალაქის ფარგლებში მდ. მტკვრის მნიშვნელოვანი მარჯვენა შენაკადებია მდ. ვერე და მისი მარჯვენა შენაკადი, მდ. ვარაზისხევი. ორივე მდინარეს მერიდიანული მიმართულება აქვს. მათი სათავეები ქალაქიდან შორს, თრიალეთის ქედის კალთებზე იწყება. მდ. ვერე შენაკადებს იღებს ნაკადულების სახით, რომლებიც ხევებში

მიედინება, მაგალითად - მდ. ვარაზისხევი მიედინება ვაკის რაიონში და უერთდება მდ. ვერეს ცირკის მიმდებარედ. ასეთივე შენაკადები აქვს მდ. დიღმულას და ტაბახმელა წყალს, რომელიც მტკვარს ორთაჭალაში უერთდება.

მდ. მტკვრის ნაკლებად მნიშვნელოვანი შენაკადებია მდ. დაბახანის წყალი, რომელიც მდინარე მტკვარს თბილისის თერმული წყაროების რაიონში ერთვის.

ქალაქის ფარგლებში მდ. მტკვრის მნიშვნელოვანი მარცხენა შენაკადებიდან უნდა აღინიშნოს მდ. გლდანულა და მდ. ხევძმარი, რომელიც მდ. მტკვარს რკინიგზის სადგურ ავჭალასთან ერთვის და მდ. საცხენის წყალი, რომელიც ნავთლუღის დაბლობს ჰკვეთს.

გარდა ზემოთ აღწერილი მდინარეებისა ნავთლუღის ახლოს მდებარეობს „თბილისის ზღვა“, ლისის და კუს ტბები.

ლისის ტბას უჭირავს არაღრმა დეპრესია ლისის მასივის თხემზე. დეპრესიის სიგრძე 0.96 კმ-ია, სიგანე - 0.75 კმ. წყლის სარკის ფართობი 0.47 კმ²-ია, მაქსიმალური სიღრმე - 2 მ. წყალშემკრები აუზის ფართობი - 16 კმ².

კუს ტბას უჭირავს ტექტონიკური ღრმული მამადავითის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. ტბის სიგრძე 200 მ-ია, სიგანე - 100 მ, წყლის სარკის ფართობი - 0.02 კმ², მისი მაქსიმალური სიღრმე 2 მ-ია.

თბილისის ზღვას უჭირავს ფართო ჩაკეტილი დეპრესია , რომელიც ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია მაღლობებით. წყალსაცავი ვრცელდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ; მისი სიგრძე 8.5-9.0 კმ-ია. მაქსიმალური სიღრმე 40 მ. წყალშემკრები აუზის ფართობი 32 კმ².

საკვლევია უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება აჭარათრიალეთის ნაოჭა სისტემის, მამადავითის ქედის, ჩრდილოური ექსპოზიციის მთისწინა დამრეცი ფერდის ნაწილს. იგი ტექნოგენურ-ეროზიული წარმოშობისაა და თანხმობით გადადის მდინარე მტკვრის მარჯვენა III ჭალისზედა ტერასაში (საბურთალო-ავლაბრის ტერასა). ფერდობი ინტენსიური განაშენიანების შედეგად დატერასებულია. მიწის ზედაპირის ნიშნულები აქ მერყეობს 432,00-440,50 მ-ის ფარგლებში. სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, 600-700 მეტრის მანძილზე, ჭიჭინაძის ქუჩის აღმა, რელიეფი გადადის მამადავითის ქედის ჩრდილო, ციცაბო, კლდოვან ფლატეში.

ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილია ზღვიური, ძირითადი დანალექი ქანებით, ზედა ეოცენური ასაკის (E_2^3), ლითოლოგიურად წარმოდგენილია არგილიტებითა და ქვიშაქვებით, რომელიც გადაფარულია კონტინენტური დელივიურ-პროლივიური გენეზისის, ზედა მეოთხეული ასაკის (dpQ_{IV}) ქანებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ღორღით (არგილიტებისა და ქვიშაქვების ჩამონაშალი) თიხნარის შემავსებლით, მოყავისფერო, რუხი-ყანგისფერი და თიხნარით ძნელპლასტიკური, მოყვითალო ფერის. ზოგან გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობის ქვიშები-ყვითელი ფერის.

სტრატეგრაფიული ჭრილი იწყება მეოთხეული ასაკის (Q_{IV}) ნალექებით. ამ ნალექებითაა გადაფარული უფრო ძველი – ზედაეოცენური ასაკის ეწ. თბილისის ნუმულიტებიანი წყების ქვიშოვან-თიხოვან-ალევიტიანი ნალექები, რომლებიც წარმოადგენენ კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების ჯგუფს.

ჭრილში ჭარბობენ ნაცრისფერი დანაპრალიანებული, საშუალო სიმტკიცის, საშუალოდ დარბილებადი ქვიშაქვები.

თანამედროვე მეოთხეული ასაკის (dpQ_{IV}) დელივიურ-პროლივიური ნალექების სიმძლავრე ჩვენს მიერ შესწავლილ ტერიტორიაზე აღწევს 38,0 მ-ს, ხოლო ზედაეოცენური (E_2^3) ძირითადი დანალექი ქანების სიმძლავრე რამდენიმე ასეულ მეტრს (1000-1200 მ) აღემატება.

საქართველოში ამჟამად მოქმედი ს.ნ და წ. „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით, გამოკვლეული უბნის სეისმურობა MSK64 სკალის შესაბამისად, არის 8 ბალი, სეისმურობის ჰორიზონტალური აჩქარების უგანზომილებო კოეფიციენტით $A=0,17$, გვ. 32 (მოქმედებაშია 01 იანვარი 2010 წ.).

კლიმატი

კლიმატური მონაცემები აღებულია საქართველოს სამშენებლო კლიმატური ნორმებიდან (პნ 01.05-08), უბანთან ყველაზე ახლომდებარე მეტეოპუნქტი „თბილისი-მთაწმინდა“-ს (მეტეოპუნქტი 61, სიმაღლე ზღვის დონიდან – 766 მ.) მონაცემების მიხედვით. კლიმატური დარაიონების მიხედვით იგი მიეკუთვნება III გ ქვერაიონს, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა შეადგენს $0 - +2^{\circ}\text{C}$, ივლისის საშუალო ტემპერატურაა $+25 - +28^{\circ}\text{C}$. ქვემოთ მოყვანილი კლიმატური მახასიათებლები აღებულია აღნიშნული ნორმატივის შესაბამისი ცხრილებიდან.

კლიმატური ქვერაიონის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები

კლიმატური რაიონი	კლიმატური ქვერაიონი	იანვრის საშ. ტემპერატურა, °C	ივლისის საშ. ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %	ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი	ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი
III	IIIგ	0 – +2	+25 - +28	–	-24	38

ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა

N	კლიმატური მახასიათებლები	თვეების მიხედვით												წლიური
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	ჰაერის საშუალო თვიური წლიური ტემპერატურა, °C	0,6	1,6	4,4	9,7	15,0	18,8	22,1	22,2	17,7	12,3	6,2	1,5	10,8
2	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	74	72	68	66	68	62	59	57	65	73	77	75	68

ნალექების რაოდენობა და თოვლის საფარი

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ	თოვლის საფარის წონა, კგა	თოვლის საფარის დღეობა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა
635	154	0,50	21	–

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

W ₀ 5 წელიწადში ერთხელ, კგა	W ₀ 15 წელიწადში ერთხელ, კგა
0,30	0,48

ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში

1 წელიწადში	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
21	23	27	28	29

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

თიხა და თიხნარი გრუნტი	ქვიშა წვრილი და მტვრისებური, ქვიშნარი	ქვიშა საშუალო და მსხვილი, ხრეშოვანი ქვიშა	მსხვილნატეხოვანი გრუნტი
18	22	23	27

ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური პირობების ფორმირება, უშუალოდაა დაკავშირებული გეოლოგიურ, გეომორფოლოგიურ და ტექნოგენურ გარემოსთან. აქ გრუნტის წყლის დონის არსებობას განაპირობებს როგორც ატმოსფერული ნალექების (წვიმის, თოვლის დნობა), ასევე ტექნოგენური (სანიაღვრე, კანალიზაციისა და წყალსადენის სისტემიდან გაჟონილი) წყლების არსებობა.

ალუვიურ-პროლივიური ფხვიერი ქანებისა და ძირითადი დანალექი ნახევრადკლდოვანი ქანების კონტაქტზე ფიქსირდება მიწისქვეშა წყლების დონე.

1977 წლის მონაცემების მიხედვით, გრუნტის წყლის სარკე განლაგებულია დაახლოებით 408,0 მ ნიშნულზე (შიდა ეზოში). მიწისქვეშა წყლები მოძრაობენ მდ. მტკვისაკენ – ეროზიის ბაზისი.

ქიმიური შედგენილობით ეს წყლები სულფატურ-კალციუმიანი ტიპისაა, მინერალიზაციით 1,0-2,4 გ/ლ; ახასიათებთ მაღალი სიხისტე, აქვთ სუსტად გამოხატული სულფატური აგრესია ბეტონისა და არმატურის მიმართ.

ტექტონიკა

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000 წ.), საკვლევი რაიონი მდებარეობს მცირე კავკასიონის (ანტი-კავკასიონის) ნაოჭა სისტემის სამხრეთ ქვეზონაში (III⁴₁).

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დაკვეთა გულისხმობდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N8-ში არსებული, საქართველოს პარლამენტის სასახლის C კორპუსის მარჯვენა და მარცხენა ფლიგელების (ორივე - 5-სართული) ფუძე-საძირკვლების მდგრადობა-ამტანუნარიანობის, ჩაღრმავების, მათი კონფიგურაციისა და ვარგისუნარიანობის, აგრეთვე ამ საძირკვლების ბუნებრივი ფუძე-გრუნტების ამტანუნარიანობის შესწავლას, შენობაზე 1 სართულის დაშენების მიზნით.

დავალების შესრულების მიზნით საჭირო გახდა ნაგებობის მიერ დაკავებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნის თანახმად (1.02.07-87 პ.პ. 3.62; 3,63; 3,64; 3,65; 3,67).

ამ მიზნით მოვახდინეთ არსებული ნაგებობის ლენტური საძირკვლების გამიშვლება 15 (თხუთმეტი) შურფ-ჭაბურღილით (ჯამური სიღრმით 200,3 გრძ.მ) და მათი კონფიგურაციისა და ფიზიკურ-მექანიკური მდგომარეობის განსაზღვრა სავსე პირობებში (ვიზუალურად), აგრეთვე, პორტატული, შიგაწვისძრავიანი საბურღი დანადგარის საშუალებით შევისწავლეთ ბუნებრივი საფუძვლები – გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სავსე მეთოდით, ცენტრალურ ფლიგელზე საძირკვლის ძირიდან 12,4 მ-ის სიღრმემდე, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებზე, საძირკვლის ძირიდან 9,8 მ-მდე.

ვიზუალურად შევისწავლეთ, როგორც საკუთრივ პარლამენტის სასახლე, ასევე ახლომდებარე ნაგებობები. დადასტურდა შევსებული ბზარების არსებობა, როგორც საკვლევი კორპუსის კედლებზე, ასევე მომიჯნავე საცხოვრებელ სახლებზე და საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ ნაგებობებზე.

ვიზუალური დათვალიერებით “II” და “L” ღერძების გასწვრივ განთავსებულ საყრდენ კედლებში გავრცელებულია 3-5 მმ სიგანის ბზარები “5” ღერძის მიმდებარედ, რაც ამ მონაკვეთზე გრუნტებში განვითარებულ გარკვეულ ჯდენებზე მიგვანიშნებს.

2018 წელს, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ცენტრალური ფლიგელის საძირკვლები, დადასტურდა მათში არსებული ბზარები, შესაბამისად მივეცით რეკომენდაციები ამ ბზარების შევსებისა და საძირკვლების გამაგრებისათვის.

შენობა-ნაგებობის ადმინისტრაციის მიერ შესრულდა ყველა ის მითითება, რაც შეიმუშავა საპროექტო ორგანიზაცია შპს „ლაინკუმბა“. ამჟამად შეჩერებულია ყველანაირი გეოდინამიური პროცესი, როგორც ცენტრალური ფლიგელის, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ნაგებობის ფუძე გრუნტების ჯდენისა და ძვრის ერთ-ერთ მიზეზად მოიაზრება ჭიჭინაძის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი შენობის ქვაბულის გავლენა. ვინაიდან ჭიჭინაძის ქუჩის გასწვრივ მდებარე C კორპუსის საძირკვლების ძირიდან დაშვებული $\varphi=17$ გრადუსით დახრილი სიბრტყე გადის მეზობელი შენობის ქვაბულის ძირის დონეზე მაღლა (იხ. დანართი). $\varphi=17$ შეესაბამება ფენა 2 გრუნტის შინაგანი

ნახუნის კუთხეს. ამ კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობდა 20...-2017 წლებში. აღნიშნული შენობის ქვაბულს დამუშავების მოკლე პერიოდში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოეხდინა მიმდებარედ არსებული შენობების ფუძეებზე. ამჟამად დასრულებული შენობის სამდონიანი მიწიქვეშა ავტოფარეხის მონოლითური კედლები, მთელ შენობასთან ერთად ასრულებს საიმედო საყრდენი კედლის ფუნქციას. შესაბამისად ქვაბულის დამუშავებისას წარმოქმნილი შესაძლო ჯდენები და ძვრები დროთა განმავლობაში დასტაბილურდა.

საპირკვლის მდგომარეობის დასადგენად, მათი კონფიგურაცია-სიღრმის შესასწავლად, გრუნტების შედგენილობის შესასწავლად და მიწისქვეშა წყლების არსებობის დასადგენად, ხელით გაიბურღა 15 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 146,2 გრძ. მ. და ხელით გაყვანილ იქნა 15 შურფი საერთო სიღრმით 54,1 გრძ. მ (შურფ-ჭაბურღილების განლაგება შეთანხმდა კონსტრუქტორთან).

შურფებიდან და ჭაბურღილებიდან აღებულ იქნა გრუნტის 220 ნიმუში ლაბორატორიული შესწავლის მიზნით.

შევსწავლეთ ტერიტორიის შესახებ არსებული წინა წლების საარქივო მასალა, ხელმისაწვდომი სასწავლო-სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურა.

ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით ბურღვა წარმოებდა პორტატული, შიგაწვის ძრავიანი საბურღი დანადგარით, მშრალი ბურღვის წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-88.

გამონამუშევრების აღწერის შემდეგ, შურფებისა და ჭაბურღილების ლიკვიდაცია მოხდა ამოღებული გრუნტების უკუჩაყრით, დატკეპნით ყოველი 0,3-0,4 მ-ის შემდეგ.

ძნელპლასტიკური თიხნარი გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა „ახალი საქალაქმშენ-პროექტი“-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების განყოფილების, გეოტექნიკურ ლაბორატორიაში (აკრედიტაციის მოწმობა GAC-TL-0145), წამყვანი ინჟინრები ნ. სურგულაძისა და მ. ჭარბაძის მიერ, დ. ახოზაძის ხელმძღვანელობით.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით შედგენილ იქნა ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი.

საკვლევი უბნის ლითოლოგიური შემადგენლობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

ფენა-1 - 0,0-დან 1,0-3,3 მ-მდე - ღორდი (არგილიტებისა და ქვიშაქვების ჩამონაშალი), თიხნარის შემავსებლით, მოყავისფერო, რუხი-ჟანგისფერი.

ფენა-2 - 1,0-3,3 მ-დან 13,0-13,6 მ-მდე - თიხნარი, მნელპლასტიკური, კონსოლიდირებული, ფილტრაციის კოეფიციენტი $\leq 1,0$ მ/დღ, მოყვითალო ფერის ხვინჭის ჩანართით 5-10%-მდე. თიხნარი, მიწის ზედაპირიდან 13,6 მ-ის ქვევით არ შესწავლილა.

ამ გრუნტებში ალაგ-ალაგ გვხვდება, როგორც ქვიშნარის ლინზები, ასევე კენჭნარ ნარევი ლინზები (<10%).

სამშენებლო მოედანზე გაყვანილ ჭაბურღილებში, გრუნტის წყლის გამოვლენა კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს (18.03-10.05 2020 წ.) არ დაფიქსირებულა ჩვენს მიერ შესწავლილ სიღრმემდე (13,6 მ). აქ არსებული გრუნტების დასველება შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერულმა ნალექებმა (წვიმა, თოვლი და ა.შ) და ტექნოგენურმა (წყალსადენი, სანიაღვრე და საკანალიზაციო მილსადენებიდან გაჟონილი) წყლებმა.

დასკვნა და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N8, N01.15.05.049.001 ნაკვეთზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის C კორპუსის ტერიტორია, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ვინაიდან ჩატარებული სარეკოგნოსცირებო სამუშაოთა შედეგად არავითარი უარყოფითი გეოდინამიური პროცესები არ შეგვხვედრია. ასევე, არსებული გეოლოგიური, ლიტერატურული და სასწავლო-ფონდური მასალების მიხედვით, რაიმე სეისმოგენერირებადი პროცესი არ აღინიშნება და არც ექსპლუატაციის შემდგომი პერიოდში არის მოსალოდნელი.
2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ. 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად, საკვლევი უბანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.
3. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნულ უბანზე, ჩვენს მიერ შესწავლილ სიღრმეზე, მიწის ზედაპირიდან 13,6 მ-მდე, მიწისქვეშა წყლები არ შეგვხვედრია (18.03-10.05 2020 წ.).
4. საარქივო მასალების საფუძველზე და ჩატარებული სარეკოგნოსცირებო სამუშაოების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ტემპერატურულ-დეფორმაციული ნაკერების გაფართოება, ასევე ლენტურ-მონოლითურ საძირკვლებზე გაჩენილი ბზარების მიზეზთაგან ყველაზე სარწმუნოა მიმდებარე ტერიტორიიდან ჩაჟონილი ტექნოგენური წყლები, რომელთა პერიოდული ჩაჟონვა იწვევს გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გაუარესება-ჩაჯდომას. ამ ბზარების გაჩენის სხვა მიზეზთაგან შეიძლება ჩავთვალოთ 1991-92 წლების სამხედრო მოვლენები და 2002-05 წ.წ. მიწისძვრები, რის შედეგადაც მოხდა ნაგებობის ძვრა ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით.
5. კლიმატური პირობების მიხედვით, რაიონი, რომელშიც შედის საპროექტო ტერიტორია, საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმების მიხედვით, მიეკუთვნება III-გ ქვერაიონს (პნ 01.05-08).
6. გამოკვლეულ უბანზე ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით გამოყოფილი იქნა 2 ფენა. 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

ფენა-1 - 0,0-დან 1,0-3,3 მ-მდე - ღორღი (არგილიტებისა და ქვიშაქვების ჩამონაშალი), თიხნარის შემავსებლით, მოყავისფერო, რუხი-ჟანგისფერი.

ფენა-2 - 1,0-3,3 მ-დან 13,0-13,6 მ-მდე - თიხნარი, მნელპლასტიკური, კონსოლიდირებული, ფილტრაციის კოეფიციენტი $\leq 1,0$ მ/დღ, მოყვითალო ფერის ხვინჭის ჩანართით 5-10%-მდე.

7. ფუძე-სადირკვლების გაანგარიშებისათვის, გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საჭირო საანგარიშო მნიშვნელობები, მიღებული ნორმატიული დოკუმენტების, საარქივო მასალის, ლაბორატორიული კვლევისა და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე („დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარი“) მოცემულია ცხრილში:

N	გრუნტის მახასიათებლები	განზ-ბა	სგე-I (ფენა-2)
1	ბუნებრივი ტენიანობა W	%	18,29
2	პლასტიკურობის ზედა ზღვარი W_L	%	0,32
3	პლასტიკურობის ქვედა ზღვარი W_p	%	0,17
4	პლასტიკურობის რიცხვი I_p	–	0,15
5	კონსისტენცია I_L	–	0,5
6	გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე ρ	გ/სმ ³	1,83
7	ნაწილაკების სიმკვრივე ρ_s	გ/სმ ³	2,70
8	გრუნტის ჩონჩხის სიმკვრივე ρ_d	გ/სმ ³	1,94
9	ფორიანობის კოეფიციენტი e	–	0,75
10	შინაგანი ხახუნის კუთხე φ^o	გრად	21,67
11	შეჭიდულობა C	კპა (კგძ/სმ ²)	23,0 (0,23)
12	პუასონის კოეფიციენტი μ	–	0,35
13	დეფორმაციის მოდული E	მპა (კგძ/სმ ²)	25,6 (260)
14	საანგარიშო წინაღობა R_0	კპა (კგძ/სმ ²)	300 (3,0)

8. არსებული ნაგებობის სადირკველის საყრდენ ფუძე გრუნტს წარმოადგენს ფენა-2 – თიხნარი მნელპლასტიკური, კონსოლიდირებული, ფილტრაციის $k \leq 1,0$ მ/დღ, მოყვითალო-მონაცრისფერო ხვინჭის ჩანართით 5-10%-მდე.

9. საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი

სეისმურობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით $A=0,17$, გვ. 32 (მოქმედებაშია 01 იანვარი 2010 წ.).

10. ქვაბულის ფერდობის მაქსიმალური დასაშვები დახრა (საჭიროების შემთხვევაში) უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01-87 („მიწის სამუშაოები, ფუძეები და საძირკვლები“) პ.პ.3.11; 3.15; 3.17 და ს.ნ. და წ. III-4-80 IX თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თიხნარი, ძნელპლასტიკური – 1:1; 45°.

11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, ერთ-ჩამჩიანი ექსკავატორით, ბულდოზერთა და ხელით დამუშავებისას, თანახმად ს.ნ. და წ. IV-5-82, კრებული 1 „მიწის სამუშაოები“ ცხრილი 1-ის მიხედვით, გრუნტები მიეკუთვნებიან:

ფენა-1 - ლორღი, თიხნარის შემავსებლით, მოყავისფერო, რუხი-ჟანგისფერი, ყველა სახით დამუშავებისას – IV კატეგორიას, საშუალო სიმკვრივით $\rho=1,8$ ტ/მ³ (რიგი N13)


ფენა-2 - თიხნარი ძნელპლასტიკური, კონსოლიდირებული, ფილტრაციის $K \leq 1,0$ მ/დღ., მოყვითალო ფერის ჩანართით 5-10%-მდე – ყველა სახით დამუშავებისას – I კატეგორიას, საშუალო სიმკვრივით $\rho=1,83$ ტ/მ³, (რიგი N33^ბ).

შეადგინა:

ინჟინერ-ჰიდროგეოლოგი

გ. რუსტამოვი




დანართები



შ-სს. №1						შ-სს. №2						შ-სს. №3						შ-სს. №4					
კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე
1	0.00	1.70	1.70	433.20		1	0.00	7.80	7.80	431.70		1	0.00	2.20	2.20	432.20		1	0.00	3.50	3.50	431.00	
2	1.20	13.60	12.40	430.80		2	7.80	0.40	8.10	421.80		2	2.20	13.50	11.90	430.90		2	3.50	13.20	10.70	421.70	

შ-სს. №5						შ-სს. №6						შ-სს. №7						შ-სს. №8					
კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე	კოორდინატი	სიღრმე	სიგანობა	სიმაღლე	სიგრძე	სიმაღლე
1	0.00	2.70	2.70	431.80		1	0.00	7.80	7.80	431.70		1	0.00	2.20	2.20	432.20		1	0.00	3.50	3.50	431.00	
2	2.70	13.20	10.50	431.20		2	7.80	13.30	10.50	421.20		2	2.20	13.00	10.70	421.40		2	3.50	13.10	10.60	421.20	

სამშენობლო პროექტი, 2020 წ.



ქ. თბილისი, ტელისკოპის რაიონი, №8,
 №01.15.05.049.001 ნაკვეთი,
 საპროექტო კარგანების სახელოს
 ც კონსტრუქციის საინჟინერო ბიუროს მიერ განკვეთვა


კონსტრუქციის პროექტი

- ფონი: მუხის სიღრმე და კონსტრუქციის, მუხის სიღრმე, ტენიანობის მნიშვნელობა
- ფონი: მუხის სიღრმე და კონსტრუქციის, მუხის სიღრმე, ტენიანობის მნიშვნელობა






განმარტების პროექტი

პროექტი 0630634-ბიუროსი

ბ. ტელისკოპი



მსოფი 2020 წ.



ქ. თბილისი, ტელისკოპის რაიონი, №8,
 №01.15.05.049.001 ნაკვეთი,
 საპროექტო კარგანების სახელოს
 ც კონსტრუქციის საინჟინერო ბიუროს მიერ განკვეთვა

კონსტრუქციის პროექტი

- ფონი: მუხის სიღრმე და კონსტრუქციის, მუხის სიღრმე, ტენიანობის მნიშვნელობა
- ფონი: მუხის სიღრმე და კონსტრუქციის, მუხის სიღრმე, ტენიანობის მნიშვნელობა

განმარტების პროექტი


პროექტი 0630634-ბიუროსი

ბ. ტელისკოპი

მსოფი 2020 წ.

ქ. თბილისი, ოლთისკმლის რაიონი, №8,
№0115.05.049.001 ნაკვეთი,
საპროექტული კარგაგნების ხასხასის
C კორპუსის საინჟინერო გეოლოგიური გამოკვეთვა


ქვეყნა 1 - 7 - 9



მაისი 2020 წ.

ქვეყნა 1 - 9 - 11 - 10 - 11
კ 1300
ვ 1300


ქ. თბილისი, ოლთისკმლის რაიონი, №8,
№0115.05.049.001 ნაკვეთი,
საპროექტული კარგაგნების ხასხასის
C კორპუსის საინჟინერო გეოლოგიური გამოკვეთვა



საკ.	განს.	განს.	განს.	განს.	განს.	
საკ. 1	439.05	431.85	431.00	430.80	435.70	
საკ. 2	5.00	10.00	40.00	25.00	5.00	14.00

მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8,
 №01.15.05.049.001 ნაკვეთი,
 საქართველოს პარლამენტის სასახლის
 C კორპუსის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა



№№	შ/ბ.№6	შ/ბ.№12	შ/ბ.№13	შ/ბ.№14
მიწის ზედაპირის ნიშნულება	434.50	431.30	431.30	426.00
მანძილი მ-ში	22.00	6.00	42.00	

კ ო რ ბ ი თ ი ა ლ ნ ო შ ე ნ ე ბ ა



ლორღი, არბლიტჰეის ღა ქვიშაქვიბის, თიხნარის შუბაშუბლით, მოყავისფრო, რუხი-ქანბისფერი



თიხნარი ძეშუკლასტიკური, ხვიჩის ჩანართით 5%-მღე, მოყვითალო შერის


პიღრო ინჟინერ-გეოლოგი

ბ. რუსტამიჭი

მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8,
 №01.15.05.049.001 ნაკვეთი,
 საქარტოველოს პარლამენტის სასახლის
 C კორპუსის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა

ჭრილი 1 - 7 - 9 - 15
 შ 1:300
 გ 1:100



№№	შ/ბ.№1	შ/ბ.№7	შ/ბ.№9	შ/ბ.№15
მიწის ზედაპირის ნიშნულები	434.40	434.40	431.85	426.80
მანძილი მ-ში	10.00	6.50	46.00	

კ ო რ ბ ი თ ი ა ლ გ ი შ კ ე ე ბ ი

- ღორღი, არბილიტების და ქვიშაქვების, თიხნარის შემავსებლით, მოყავისფრო, რუხი-ქანკისფერი
- თიხნარი ძნელკლასტიკური, ხვინვოს ჩანართით 5%-მდე, მოყვითალო ფერის


ჰიდრო ინჟინერ-გეოლოგი

ბ. რუსთამოვი

მაისი 2020 წ.

შპს „საბალი საძირკვლიანობის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება“	ბრუნტის კვრახე გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ძ. №43დ
ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 (ს.კ. 01.15.05.049.001) საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი	
შპს № 9	აღების სიღრმე $h = 12.0$ მ	60მუშის სტრუქტურა: მონოლითი
		ლაბ. № 507

კვრახე გამოცდა ნატარგა წყალგაჟივრეულ მდგომარეობაში ბრუნტი № 5



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები										
ბრუნტის ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	ელასტიკობა			
	ბრუნტის	შრალი	ბრუნტის				ღუნადობის	ფლვარი	ელასტიკობის	ფლვარი
W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	S_r	W_L	W_p	I_p	I_L
%	გ/სმ ³			%	-	-	-	-	-	-
24.0	1.95	1.57	2.70	41.8	0.717	0.90	0.33	0.18	0.15	0.40
ბრუნტის დასახელება										
I_p	15	თიხნარი								

ბრუნტის კვრის მახასიათებლები					
კვრის პარამეტრი	ქვედა		ზედა		
	კვრის პარამეტრი	კვრის პარამეტრი	კვრის პარამეტრი	კვრის პარამეტრი	კვრის პარამეტრი
P	τ	τ	$tg \varphi$	φ	c
მპა	მპა	მპა	-	გრდ.	კპა
0.1	0.057	0.057	0.40	22	17
0.2	0.097	0.097			0.17
0.3	0.137	0.137			

ინჟინერი *მ. ფილიძე* მ. ზარბაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი *მ. ჯიქია* დ. ანთაძე


შპს „სახალი სამქალაქმშენებრომპტი“ საინჟინერო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტის ძვრახე გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ძ. №43დ
--	-------------------------------------	---

ობიექტის დასახელება: ძ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 (ს.პ. 01.15.05.049.001)
სამართლებელს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი

შ/ბ № 15 ალუბის სიღრმე $h = 5.5$ მ 60მუშის სტრუქტურა: მონოლითი ლაბ. № 511

ძვრახე გამოცდა ჩატარდა წყალგაჭიმებულ მდგომარეობაში

ბრავიპი № 6



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები										
ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	ელასტიკურობა			
	ბრუნტის	შუბლი	ბრუნტის ნაწილაკების				დენარობის ზღვარი	ელასტიკურობის ზღვარი	რიცხვი	დენარობის მაჩვენებელი
W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	S_r	W_L	W_p	I_p	I_L
%	მ/მ ³			%	-	-	-	-	-	-
21.4	1.91	1.57	2.70	41.7	0.716	0.81	0.34	0.17	0.17	0.26
ბრუნტის დასახელება										
I_p	17	თიხნარი								

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	მთხვერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი	ხვედრითი უმჯობესობა
P	τ	τ	$tg \varphi$	φ	c
მპა	მპა	მპა	-	ბრ.	მპა
0.1	0.074	0.074	0.42	23	32
0.2	0.116	0.116			0.32
0.3	0.158	0.158			

06306ერი *მ. ფრინჭი* მ. ზარბაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი *მ. ზე* დ. ახოვაძე

შპს „ახალი საქალაქმშენაკომპტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტის კვრახე გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ქ. №43ა
--	-------------------------------------	---


ობიექტის
დასახელება

ძ. თბილისი. რუსთაველის გამზ. №8 (ს.კ. 01.15.05.049.001)
საძირითველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი

შპს № 6 ალბის სიღრმე $h = 8.4$ მ ნიშნის სტრუქტურა: მონოლითი ლაბ. № 505

კვრახე გამოცდა ჩატარდა წყალგაჟმრეხულ მდგომარეობაში

ბრუნტი № 4



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები										
ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	ელასტიკურობა			დენალორის მანერული
	ბრუნტის	შრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების				დენალორის უფვარი	ელასტიკური უფვარი	რინენი	
W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	S_r	W_L	W_p	I_p	I_L
%	გ/სმ ³			%	-	-	-	-	-	-
22.5	1.89	1.54	2.70	42.9	0.750	0.81	0.31	0.17	0.14	0.39
ბრუნტის დასახელება										
I_p	14	თიხნარი								

ბრუნტის კვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	მიწვეული				
	მესპერ.	კვრის ძალა	კვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი
P	τ	τ	$tg \varphi$	φ	c
მპა	მპა	მპა	-	ბრლ.	მპა
0.1	0.055	0.056	0.36	20	20
0.2	0.093	0.092			0.20
0.3	0.127	0.128			

06306ერი

ე. ფიჩი

მ. ზარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი

ე. ზ.


დ. ანობაძე

შპს „ახალი საქალაქმშენარეობა“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
---	--	---

ობიექტის სახელი: ძ. თბილისი. რუსთაველის გამზ. №8 (ს.პ. 01.15.05.049.001)
 დასახელება: საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი

შპს № 10 | ადგილის სიღრმე $h = 7.0$ მ | ნიმუშის სტრუქტურა: მონოლითი | ლაბ. № 508

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე ბრუნტი № 2



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები		საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა	W	%	20.5 23.5
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	1.83 1.99
	შრალი ბრუნტის	ρ_d	1.52 1.61
	ბრუნტის ნაწილაკების	ρ_s	2.70
ფორიანობა	n	%	43.8 40.4
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.778 0.677
ტენიანობის ხარისხი	S_r	-	0.71 0.94
კლასტიკურობა	ღვინაღობის ზღვარი	W_L	- 0.32
	კლასტიკური ზღვარი	W_p	- 0.17
	რიცხვი	I_p	- 0.15
ღვინაღობის მანველებელი	I_L	-	0.23 0.43

ჯდომადობა

ჯდომადობის საწყისი წნევა	P_d	მპა
დამრედილებულება $\epsilon_d = f(P)$		
P	მპა	0.2
ϵ_d	-	0.006

ბრუნტის დასახელება

I_p	15	თიხნარი
-------	----	---------


ვერტიკალური დატვირთვა	P	მპა	0	0.05	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.35	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.778	0.760	0.748	0.739	0.732	0.721	0.702	0.687	0.678	0.670
ჯდომის გოღული	ℓ_p	მმ/მ	0	10	17	22	26	32	43	51	56	61
კუმულაციის კოეფიციენტი	m_θ	მპა ⁻¹		0.036	0.025	0.018	0.014	-	0.039	0.028	0.018	0.018
ღეფორმაციის გოღული	კოეფ.	E_k	მპა		2.5	3.6	5.0	6.2	-	2.3	3.1	5.0
	თანობ.	E	მპა		9.8	14.3	20.5	25.6	-	9.8	13.4	22.0

ინჟინერი *[Signature]* 6. სურბულაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი *[Signature]* დ. ანთაძე

შპს „სახალი საქალაქმშენარეობით“ საინჟინერო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
--	--	---

ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 (ს.პ. 01.15.05.049.001) საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი
შ/პ № 10	აღების სიღრმე $h = 7.0$ მ ნიმუშის სტრუქტურა: მონოლითი
	ლაბ. № 508

ცმა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე ბრავიკი № 2



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები		საწ.	საბ.
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	1.83 1.99
	შუბალი	ρ_d	1.52 1.61
	ბრუნტის ნაწილაკების	ρ_s	2.70
	ფორიანობა	n	% 43.8 40.4
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.778 0.677
ტენიანობის ხარისხი	S_r	-	0.71 0.94
კლასტიკურობა	დენალობის ზღვარი	W_L	- 0.32
	კლასტიკური ზღვარი	W_p	- 0.17
	რიცხვი	I_p	- 0.15
დენალობის მაჩვენებელი	I_L	-	0.23 0.43

ჯდომადობა	
ჯდომადობის საწყისი წნევა	P_d მპა
დამოკიდებულება $\varepsilon_d = f(P)$	
P	მპა
ε_d	-

ბრუნტის დასახელება	
I_p	15
თიხნარი	

ვერტიკალური დატვირთვა	P	მპა	0	0.05	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.35	0.4	
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.778	0.760	0.748	0.739	0.732	0.721	0.702	0.687	0.678	0.670	
ჯდომის გრადუსი	ℓ_p	მმ/მ	0	10	17	22	26	32	43	51	56	61	
კუმულაციური კოეფიციენტი	m_o	მპა ⁻¹		0.036	0.025	0.018	0.014	-	0.039	0.028	0.018	0.018	
დეფორმაციის გრადუსი	უკუბ.	E_k	მპა		2.5	3.6	5.0	6.2	-	2.3	3.1	5.0	5.0
	თავის.	E	მპა		9.8	14.3	20.5	25.6	-	9.8	13.4	22.0	22.0


06060601 6. სურბულაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ანობაძე

შპს „ახალი საქალაქმშენარქექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
--	--	---

ობიექტის დასახელება: **ძ. თბილისი. რუსთაველის გამზ. №8 (ს.პ. 01.15.05.049.001)**
 საქართველოს პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი

შ/პ № 1 ალუმის სიღრმე **h = 9.5 მ** ნიმუშის სტრუქტურა: მონოლითი ლაბ. № 504

ცმა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე ბრავიკი № 1



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები		საწ.	საბ.
სიმკვრივე	ბუნებრივი ტენიანობა	W	% 18.6 21.0
	ბრუნტის	ρ	1.79 1.92
	მშრალი ბრუნტის	ρ_d	1.51 1.59
	ბრუნტის ნაწილაკების	ρ_s	2.70
ფორიანობა	n	% 44.1 41.1	
ფორიანობის კოეფიციენტი	e	- 0.789 0.698	
ტენიანობის ხარისხი	S_r	- 0.64 0.81	
კლასტიკურობა	დენალოვის ზღვარი	W_L	- 0.34
	პლასტიკურ ზღვარი	W_p	- 0.18
	რიცხვი	I_p	- 0.16
დენალოვის მანკენეპელი	I_L	- 0.04 0.19	

ჯდომალობა

ჯდომალობის საწყისი წნევა	P_{st}	მპა
დამოკიდებულება $\epsilon_{st} = f(P)$		
P	მპა	0.2
ϵ_{st}	-	0.007

ბრუნტის დასახელება

I_p	16	თინარი
-------	----	--------

ვერტიკალური დატვირთვა	P	მპა	0	0.05	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.35	0.4	
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.789	0.782	0.775	0.768	0.760	0.748	0.728	0.716	0.705	0.698	
ჯდომის გრადუსი	ℓ_p	მმ/მ	0	4	8	12	16	23	34	41	47	51	
კუმულაციური კოეფიციენტი	m_θ	მპა ⁻¹		0.014	0.014	0.014	0.014	-	0.039	0.025	0.021	0.014	
დემორაგაციის გრადუსი	კრეპა	E_k	მპა		6.3	6.3	6.3	6.3	-	2.3	3.6	4.2	6.2
	მრეპა	E	მპა		23.8	23.8	23.8	23.8	-	9.3	15.0	17.9	26.9

06306ერი *აფ* 6. სურბულაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი *აფ* დ. ანუბაძე

შპს „ახალი საძვალამშენარემდო“ საინჟინრო ბიურობიურო კვლევების განყოფილება		ბრუნების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები																გეოტექნიკური ლაბორატორია ძ. თბილისი შატავას ძ. №43				
		ძ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 (ს.კ. 01.15.05.049.001) საძირითველურ პარლამენტის სასახლის „C“ კორპუსი																				
ორიგინი №	გამონაკვეთი №	სიღრმის სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ღვ.ა. №	კლასტიკობა			შუბლიანი ტენიონი	სიმკვრივე			ფორმირება		ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი		
					ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი	ფორმირების კოეფიციენტი		საფხვი	ფორმირების კოეფიციენტი												
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	φ	c	ბრუნების მნიშვნელობა		
		მ			-	-	-	%	ტ/სმ ³			%	-	-	-	-	-	-	ბრუნ.	კვა		
1	შ/ბ №1	4.0	მ/მ.	503	0.30	0.17	0.13	16.1	1.75	1.51	2.69	44.0	0.785	0.807	-0.07	0.55	0.01					თიხნარი
2		9.5	მ/მ.	504	0.34	0.18	0.16	18.6	1.79	1.51	2.70	44.1	0.789	0.918	0.04	0.64	0.07					თიხნარი
3	შ/ბ №6	8.4	მ/მ.	505	0.31	0.17	0.14	15.2	1.78	1.55	2.70	42.8	0.747	0.837	-0.13	0.55	0.05	20	20			თიხნარი
4	შ/ბ №9	6.5	მ/მ.	506	0.30	0.18	0.12	15.0	1.76	1.53	2.69	43.1	0.758	0.807	-0.25	0.53	0.03					თიხნარი
5		12.0	მ/მ.	507	0.33	0.18	0.15	20.2	1.91	1.59	2.70	41.1	0.699	0.891	0.15	0.78	0.11	22	17			თიხნარი
6	შ/ბ №10	7.0	მ/მ.	508	0.32	0.17	0.15	20.5	1.83	1.52	2.70	43.8	0.778	0.864	0.23	0.71	0.05					თიხნარი
7		8.0	მ/მ.	509	0.35	0.19	0.16	22.2	1.88	1.54	2.70	43.0	0.755	0.945	0.20	0.79	0.11					თიხნარი
8	შ/ბ №14	9.0	მ/მ.	510	0.30	0.16	0.14	16.4	1.81	1.55	2.70	42.4	0.736	0.810	0.03	0.60	0.04					თიხნარი
9	შ/ბ №15	5.5	მ/მ.	511	0.34	0.17	0.17	18.8	1.86	1.57	2.70	42.0	0.725	0.918	0.11	0.70	0.11	23	32			თიხნარი
10		11.0	მ/მ.	512	0.33	0.17	0.16	19.9	1.88	1.57	2.70	41.9	0.722	0.891	0.18	0.74	0.10					თიხნარი

შენიშვნა: ბრუნაში „წინააღმდეგობა კვრახ“ გეოტექნიკური მნიშვნელობის მქონე მნიშვნელობის მდებარეობის გამოკვლევის შედეგები

ინჟინერი *გ. ბარბაქაძე* გ. ბარბაქაძე ჯგუფის ინჟინერი *მ. მარგალიტი* მ. მარგალიტი

ლაბორატორიის ხელმძღვანელი *დ. ანთონიძე* დ. ანთონიძე

შპს „ახალი საძვალამშენარემდო“ ლაბორატორია შპს „ახალი საძვალამშენარემდო“



III ნაწილი

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8, №01.15.05.049.001 ნაკვეთი,
საქართველოს პარლამენტის სასახლის ჩ კორპუსის
მზიდი კონსტრუქციების ჩონჩხედის (კარკასის)
სტატიკური და დინამიკური ზემოქმედებების სამოწმებელი
განგარიშებების შედეგები

თბილისი

2020 წ

III.1 საკვლევი ნაგებობების საანგარიშო მოდელების

(სქემების) შედგენა

საკვლევი ნაგებობების საანგარიშო მოდელები (სქემები) შედგენილია (აგებულია) არქიტექტურული (ესკიზური), აზომვითი ნახაზებისა და შესაბამისი კვლევების საფუძველზე. სამოწმებელი გაანგარიშებები ჩატარებულია სამშენებლო კონსტრუქციების ტიპური საანგარიშო კომპლექსი “Лица Санр 2019”-ის გამოყენებით. (ლიცენზიის ნომერი №1/7165). დღეისათვის საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შედგენილი იქნა შემდეგი საანგარიშო მოდელები:

- I. გასაანგარიშებელი შენობის დღეისათვის არსებული მდგომარეობით;
- II. აზომვითი ნახაზებისა და ესკიზური პროექტის მიხედვით დასაშენებელი ნაწილების გათვალისწინებით;
- III. I და II პუნქტების შედეგებიდან გამომდინარე ფუძე-საძირკვლების კონსტრუქციების გეომეტრიული პარამეტრების კორექტირებით.

დატვირთვებისა და ზემოქმედებების განაწილება შესრულებულია საქართველოში დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, კერძოდ:

- სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
- სამშენებლო ნორმების და წესების – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პნ 03.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
- სამშენებლო ნორმების და წესების – „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;
- დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743. 2008 წლის 25 აგვისტო, ქ. თბილისი;
- EN 1998-1; ეუროცოდე 8-სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება;
- СНиП 2.01.07-85* „Нагрузки и воздействия“ (2007 წლის განახლება).

III.1.1 დატვირთვების განაწილება

III.1.1.1 მუდმივი დატვირთვა

- 1.1. რკინაბეტონის კონსტრუქცია გენერირდება ავტომატურად, მოცულობითი წონა 2.5 ტ/მ³. უსაფრთხოების კოეფიციენტი დატვირთვისათვის $\gamma=1.1$
- 1.2. ბლოკის კედლები გათვალისწინებულია თანახმად განაწილებული დატვირთვის სახით 1 გრძ.მ-ზე სართულის დონეზე. კედლის სისქედ მიღებულია 40 სმ. მოცულობითი წონა 1.4 ტ/მ³. უსაფრთხოების კოეფიციენტი დატვირთვისათვის $\gamma=1.1$

1.3. იატაკის წონა:

ფენა	სისქე	მოცულობითი წონა, ტ/მ ³	დატვირთვა, ტ/მ ²	გადატვირთვის კოეფიციენტი	საანაგრიშო დატვირთვა
1	2	3	4	5	6
მსუბუქი ბეტონის იატაკი – მარკა D1800	0.08	1.8	0.144	1.2	0.1728
ხის იატაკი	0.05	0.8	0.04	1.2	0.048
ჯამი –					0.2208

1.4 გრუნტის დატვირთვა სარდაფის კედელზე:

$$G_{გრ} = \gamma \cdot h \cdot tg^2 \cdot (45 - \varphi/2) = 3.4 \text{ ტ/მ}^2$$

III.1.1.2 ხანგრძლივი დატვირთვა

- 2.1. კედლის ტიხრები, განაწილებული დატვირთვა 1 მ²-ზე არის 0.10 ტ/მ². დატვირთვის კოეფიციენტი $\gamma=1.2$. საანაგრიშო დატვირთვა – 0.12 ტ/მ²

III.1.1.3 დროებითი დატვირთვა

სართული	ნორმატიული მნიშვნელობა, ტ/მ ²	ნორმატიული დოკუმენტი	გადატვირთვის კოეფიციენტი	საანაგრიშო დატვირთვა
1	2	3	5	6
დარბაზები სხვადასხვა დანიშნულების	0.4	СНиП 2.01.07-85*	1.3	0.52
ტიპიური სართული	0.2	СНиП 2.01.07-85*	1.2	0.24
აივნები და ვერანდები	0.2	СНиП 2.01.07-85*	1.3	0.26
1	2	3	5	6

კიბეები და დერეფნები	0.3	СНиП 2.01.07-85*	1.2	0.36
სახურავი (თოვლის დატვირთვა)	0.05	рп 01. 05 -08	1.4	0.07


III.1.1.4 ქარის დატვირთვა

ქარის საანგარიშო სიჩქარე 29 მ/წმ (35 01.05-08, ცხრილი 19, პუნქტი 61)


$$W_0 = 0.61 \times V^2 = 0.61 \times 29^2 = 513.0 \text{ კპა} = 0.051 \text{ ტ/მ}^2$$

Ветровые нагрузки (СНиП 2.01.07-85*)
ЛИРА САПР. Киев, Украина.

Исходные данные

Район строительства	Тип сооружения	Схема	Параметры
Тип местности - С	1.Вертикальные и отклоняющиеся от вертикальных не более чем на 15° поверхности		H = 24.00 м
Ветровой район - Польз.	Поверхность - Наветренная поверхность		
$\omega_0 = 0.05 \text{ Тс/м}^2$	Шаг сканирования = 1.65 м		
	$Y_f = 1.40$		

Результаты расчета




Привязка, (м)	Нормативная нагрузка, (Тс/м ²)	Расчетная нагрузка, (Тс/м ²)	Привязка, (м)	Нормативная нагрузка, (Тс/м ²)	Расчетная нагрузка, (Тс/м ²)
0.00	0.02	0.02	1.65	0.02	0.02
3.30	0.02	0.02	4.95	0.02	0.02
6.60	0.02	0.02	8.25	0.02	0.02
9.90	0.02	0.02	11.55	0.02	0.02
13.20	0.02	0.03	14.85	0.02	0.03
16.50	0.02	0.03	18.15	0.02	0.03
19.80	0.02	0.03	21.45	0.02	0.03
23.10	0.02	0.03	24.00	0.02	0.03


Ветровые нагрузки
(СНиП 2.01.07-85*)

ЛИРА САПР. Киев, Украина.

Исходные данные

Район строительства	Тип сооружения	Схема	Параметры
Тип местности - С	1.Вертикальные и отклоняющиеся от вертикальных не более чем на 15° поверхности		H = 24.00 м
